

# საბჭოთა ქალი

იანვარი
№ 1 1965 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნონა გაფრინდაშვილი.



ამ შენობაში გაიხსნა ქალთა XXIV საკავშირო ჩემპიონატი ჭადრაკში



მ. რანიკუს და ზ. ნახიმოვსკაი
აინტერესებთ ტურნირის
მონაწილეთა სვლები



ლენა რუბცოვა



ნონა და ნანა



,,არც ისე ადვილია
გაზრდების წინაა
ბრძოლა''—ფიქ
ბორისენკო.



რიმა კაზმინა ჟურნალ
,,საქართველოს ქალის''
პრიზიორი.



ახლა კი შეიძლება აზრის გაზიარე-ბა. სათქმელი ბევრი აქვთ ნატაშა კონოპლევას, ელენა კესელმანს და ნანა ალექსანდრიას.

ნანა ალექსანდრია უგებს ოლღა რუბცოვას.




pf
1965
Дорогая Тео!
Пусть 1965 год вам
и вашей родине и семье
принесет счастье
и Мир!
Ваша
Зденка Зилова
жур. „VLASTA"
З Новим роком!
С Новым годом
Сердечно поздравляю с Новым годом!
Пусть будет мир во всей земле,
и счастье в вашем доме
Мария Овсянникова
Редакция журнала
"Женщины мира"
С новым годом!
Крестьянка
С новым годом!
Редакция журнала
"Ныукогуде Найне"
с Новым годом!
Редакция журнала
Работница

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლამაზია, ელეგანტური...

თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისი" ქალების დიდ ინტერესს იწვევს. მოდით და გავეცნოთ, როგორ იქმნება კაპრონის მაღალყელიანი წინდები, ვინ არიან მათი მწარმოებლები და რა ახალი პროდუქციით გაგვახარებენ ისინი ახალი წლიდან.

ჩვენი მეგზური ფაბრიკის უფროსი ინჟინერი ნანა ჯიქიაა. იგი ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მოვიდა აქ და თავისი ახალგაზრდა საწარმოს ნამდვილი პატრიოტია.

თბილისის წინდების ფაბრიკა კომუნისტური შრომის საწარმოს სახელისათვის იბრძვის. ფაბრიკის ადმინისტრაცია, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები წარმოებაში ნერგავენ ყოველივე მოწინავესა და პროგრესულს. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ამაღლებასთან ერთად მტკიცდება მეგობრული ურთიერთობა საწარმოს მუშებს შორის. ეს შეიმჩნევა წარმოების გაცნობისთანავე, ამას გრძნობთ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებთან საუბარში.

კოტონის საამქროში დაზგების გუგუნია. გრძლადჩამწკრივებულ მანქანებზე თეთრი კაპრონის წინდები იშლება, გადის და გამოდის მანქანის ძაფწამყვანი, ერთ გავლაზე წვრილ-წვრილი ნემსები ერთ რიგს კერავენ, მეორე გავლაზე მეორე რიგს და ასე შემდეგ. ზოგჯერ მანქანა უფრო ღრმად ჩამოიწევს, ამ დროს იგი გამორთავს იმ ნემსებს, რომლებიც აღარ ჰირდება წინდის ქსოვისათვის. მას ხომ მთლიანად გამოჰყავს მისი ფორმა, ყელი იქნება თუ ქუსლი.

მანქანის უკან, ჯიხურში მოთავსებულია ბობინაზე დახვეული კაპრონის თეთრი ძაფები, რომლებიც მთელ მანქანაზე იქსელება. ამ ძაფს ფაბრიკა იღებს რუსეთის ქალაქებიდან — კლინიდან, დარნიციდან, ბარნაულიდან, ენგელსიდან.

ერთდროულად კოტონის საქსოვი დაზგა ქსოვს 24 ცალ წინდას. ამ მანქანას ერთი მუშა ემსახურება, ის თვალყურს ადევნებს ნახევრადავტომატური მანქანის მუშაობას, ასწორებს ნემსებს, ძაფებს. კოტონის წინდის ასეთი საქსოვი მანქანები სამივე სართულზე 78-ია. დღეში ამ მანქანებზე იქსოვება 10.000 წყვილი კაპრონის ნაკერიანი წინდა.

საამქროში სინათლე და სითბოა. გოგონები თხელი კაბებით მუშაობენ. გრძელი მანქანების გვერდით მრგვალი უნაკერო წინდების ავტომატებია. თუ კოტონის საქსოვ გრძელ მანქანაზე თვალნათლივ ვხედავდით, როგორ იქსოვებოდა წინდა, აქ მისი ქსოვა დახურულია. ამავე დროს ქსოვა არის ხლართული, უნაკერო. ასეთი წინდები მომხმარებლის დიდი მოწონებით სარგებლობს, მას ნაკლებად მისდის თვალი, მოდაშია და ქალის ფეხსაც უფრო კოხტას აჩენს.

მრგვალი ავტომატები სულ რამდენიმე თვეა, რაც ამუშავდა ფაბრიკაში. საწარმოში ახლა 100 ასეთი მანქანა დგას, 1965 წლიდან კი, როცა დამთავრდება ახალი კორპუსის მშენებლობა, საწარმოს მრგვალ ავტომატებს დაუმატებენ და ჩვენი ქალები მიიღებენ უფრო მეტი რაოდენობის უნაკერო წინდას.

საამქრო კომუნისტური შრომის საამქროს სახელისათვის იბრძვის და ბევრი მოწინავე მუშა ჰყავს.

 აი, შავთვალება გოგონამ წინდა ფორმაზე



ფაბრიკის დირექტორი მუშანა გოგიხვანიძე ამოწმებს წუნმდებლის მუშაობას

ჩამოაცვა და მოგვიახლოვდა. ეს ქალიშვილი სკოლის მერხიდან მოვიდა საწარმოში და ახალ მანქანებზე დაიწყო მუშაობა. საერთოდ, ამ რგვალ მანქანებზე უმეტესად საშუალო განათლების ახალგაზრდები მუშაობენ. ქანა დავთიანი მოწინავე კომკავშირელია, საწარმოო დავალებებს 110-115 პროცენტით ასრულებს.

გიული ომიაძე ქანას თანატოლია. ისიც მოწინავე მუშაა. მუშაობას მშვენივრად უხამებს სწავლას. საამქროში ბევრია მოწინავე მქსოველი — ლეილა თამაზაშვილი, ლია ჩიქობავა, ირინა კუზნეცოვა, ტატიანა კრავცოვა, ანტონინა ობუხოვა და სხვები.

მოქსოვილი წინდები სპეციალური ურიკე-

მრგვალი წინდების საამქრო



ბით სამკერვალო განყოფილებაში გადააქვთ. საკერავ მანქანებთან ქალები დახრილან და თავაუღებლივ მუშაობენ. აქ მომუშავე ყველა ქალი მოწინავეა. ცვლაში თვითეული მათგანი 400 წყვილ წინდას კერავს. მკერავების გვერდით დამხარისხებლები სხედან, ისინი წინდას სჭიმავენ სპეციალურ ფორმაზე, აჭრიან ძაფებს, ამოწმებენ, ხომ არ არის სადმე ჩავარდნილი თვალი. საერთოდ, წინდის ასეთი შემოწმება წარმოების ყველა უბანზე ხდება.

უკვე შეკერილი წინდა შემდგომი ტექნოლოგიური დამუშავებისათვის სამღებრო-გამომყვან საამქროში ხვდება, რომელსაც მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის საამქროს სახელი.

სპეციალურ დანადგარებთან წინდის ფორმებია განლაგებული. მუშა ქალები მათზე აცვამენ შეკერილ წინდებს და სათანადო რეჟიმის დაცვით აწარმოებენ შეორთქლვას, მისთვის საჭირო ფორმის მიცემას. აქვე, უფრო დაბლა, მაგიდაზე მუშების მეორე წყება სპეციალურ ჩანთებში აწყობს წინდებს და ისე შეაქვს შესაღებ ბარაბანებში. ცენტროფუგაში გაწურვის შემდეგ წინდები გადააქვთ გასაფორმებელ მანქანებში, სადაც მათ აუთოებენ და აძლევენ ნებისმიერ ზომას.

საამქროში დგას ახალი მანქანა ტენტოფიქსი. ის მალე ამუშავდება და ერთდროულად შეასრულებს ჩულქის შეორთქლვას, შეღებვას, გაწურვასა და დაუთოვება-ფორმირებას.

დაბოლოს, დამხარისხებელი უბანი. კონვეირების ორივე მხარეს ჩამწკრივებულ მაგიდებთან ქალები სხედან და დაკვირვებით ამოწმებენ წინდის ხარისხს. აქ განსაკუთრებული სიფხიზლეა საჭირო, ზუსტად უნდა დაახარისხო წინდა, არ გაგეპაროს წუნი, თორემ შენი დაუდევრობით ფაბრიკის მარკა შერცხვება.

ცვლის უფროსს ზაირა მაზმიშვილს გაუჭირდა საუკეთესო მუშის გამოყოფა. თითქმის ყოველი მათგანი მოწინავეა. ისე ხომ საამქრო კომუნისტური შრომის საამქროს სახელწოდებას ვერ მიიღებდა.

— დეიდა ნადეჟდა ჩვენი საუკეთესო მუშაა. იგი დღეში გეგმით გათვალისწინებული 230 წყვილის ნაცვლად 250-270 წყვილ წინდას ახარისხებს. ნადეჟდა თოთიბაძე ახალგაზრდების საუკეთესო მეგობარია. ვინ მოთვლის, რამდენ მათგანს შეასწავლა პროფესია, რამდენს გაუწია დედაშვილური დახმარება.

...დამხარისხებელ საამქროში ახალი ცვლა იწყებდა მუშაობას. მაგიდასთან გოგონები ისხდნენ, ლურჯწინსაფრიანი ქალი ერთ მათგანს მანიკურს უკეთებდა. სხვები თავიანთ რიგს ელოდებოდნენ. ეს-შემთხვევით ამბად მეჩვენა, მაგრამ შემდეგ ამიხსნეს, რომ მანიკურის ოსტატები სხვა საამქროებშიც ყოფილან. ხელების მოვლა, მისი სილამაზისა და სიფაქიზის დაცვა აქ ყოველი მუშის აუცილებელი სამუშაო პირობაა.







ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საწარმოს ორი წელია ხელმძღვანელობს შუშანა გოგისვანიძე. უფრო ადრე კი 1944 წლიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იგი დიდხანს მუშაობდა ჩვენს საფეიქრო მრეწველობაში. ხუთ წელს ხელმძღვანელობდა ფაბრიკა „კომკავშირელს“. ყოველივე ამან მას საკმაო გამოცდილება შესძინა.

უნარიანი ხელმძღვანელი კარგად გრძნობს, რა მნიშვნელობა აქვს წარმოებაში ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვას. სწორედ მისი მეცადინეობით გამოეყო კოტონის საამქროს ცალკე საკერავი უბანი. დამხარისხებელ საამქროში დააყენეს ორი კონვეიერი, და რაც მთავარია, „კრწანისმა“ მიიღო უნიკალური მანქანა — ტენტოფიქსი.

შუშანა ჯარასავით ტრიალებს ფაბრიკის საამქროებში. მისი გამჭრიახი თვალი ყველგან წვდება, საწარმოს ყველა კუნჭულში. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წინდის დამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას. უამისოდ ხომ ვერ მივიღებთ ხარისხიან წინდას.

ფაბრიკის დირექტორმა აგვიხსნა, რომ წინდების გამძლეობა მომხმარებლებზეც არის დამოკიდებული. ქალებმა უნდა დაიცვან კაპრონის წინდის ხმარების წესი. რა გვიჭირს, მაგალითად, უბრალო ტრიკოტაჟისაგან შევიკეროთ ხელთათმანი და ამით ჩავიცვათ ხოლმე წინდა, მაშინ ფრჩხილებს ან თითებზე აქერცლილ კანს აღარ გამოვდებთ და წინდასაც არ წაუვა თვალი. თუ ხელთათმანის შეკერვა გაგვიჭირდა, საგანგებოდ მოვუაროთ ხელებს. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომელი არტიკულის წინდა როდის ჩავიცვათ — ყოველდღიური სახმარი სხვა უნდა გვქონდეს, გამოსასვლელად კიდევ სხვა. ფაბრიკა ხომ 7 დასახელების ქალის კაპრონის წინდას უშვებს.

ახლახან მაღაზიებში გაჩნდა „კრწანისის“ მარკის ლამაზი, უნაკერო წინდა, რომელიც შეკერილია კაპრონის ნაჭრისაგან. აქ ხლართვა ორმაგია, რაც მთლიანად გამორიცხავს თვალის ჩავარდნას. ახალი წლიდან ჩვენი ქალები მიიღებენ ასეთ წინდებს კიდევ უფრო დიდი რაოდენობით. გაიზრდება 124 არტიკულის ნახევრადელასტიური კაპრონნარევი წინდის გამოშვება, იგი თბილიც არის და მოხდენილიც. საერთოდ, ფაბრიკა 1964 წელთან შედარებით მილიონნახევრით გაზრდის გამოშვებული წინდების რაოდენობას.

1965 წლიდან თბილისის წინდების ფაბრიკის „კრწანისის“ ნაწარმს გაეცნობიან შორეული ბირმის, გვინეის, დანიის, პოლონეთის, სირიის, საბერძნეთის, იუგოსლავიის და სხვა ქვეყნების მცხოვრებნი მათთან მოწყობილ საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე.

ლარისა ხუბულური

## ემზარ შალიკაშვილი




მოთხრობა

მხატვარი დ. ერისთავი

მე გოგა მქვია. ძველ სახლში ვცხოვრობ. ბაღის მხარეს მაქვს დიდი ხის აივანი, ძველი, გაურკვეველი ჩუქურთმებით. კარგია გვიან შემოდგომით ამ აივანზე ჯდომა, ან წამოწოლა, განსაკუთრებით, როცა წვიმს, თითქმის აივანზე ვცხოვრობ. თოვლის გადმოყრამდე სახლში ფეხსაც არ შევდგამ ხოლმე... ჩვენი ბაღი უნაყოფო ხეებით არის სავსე. ერთი შეხედვით მოუვლელია, ყველასაგან მიტოვებული.

ჰო, მართლა, ჩემი აივნის პირდაპირ მხატვარი ცხოვრობს. მისი ოთახიდან, პირდაპირ ბაღში შეიძლება ჩასვლა, სულ რაღაც ხუთი საფეხურია. წეღან ვამბობდი: ჩვენი ბაღი მოუვლელია-მეთქი, გადავწყვიტეთ მისი მოვლა და გამშვენიერება. მეზობელმა მხატვარმა შეიცხადა:

— თქვენი ჭირიმეთ, ასე იყოს, ამის უკეთესს ვერაფერს გავაკეთებთო.

პირველად, ჯერ კიდევ ადრე, მიკვირდა, რა არის აქ მოსაწონი-მეთქი, შემდეგ კი ისე შემაყვარა თავი ამ ერთი გოჯა ადგილზე უსწორმასწოროდ ამოსულმა ხეებმა და ბუჩქებმა, ვინმეს რომ თითი დაეკარებინა, ალბათ, თავს შევაკლავდი.

ერთ მშვენიერ დილას ჩვენს ბაღში საოცრება მოხდა: ყოველგვარი შეთანხმების გარეშე ახალი ხე გამოცხადდა.

მე და მხატვარი ვერ ვიყავით ისე ახლოს — აი, ძალიან კარგ მეზობლებს რომ ეძახიან. ეს რატომღაც, ჩვენდაუნებურად მოხდა. როცა ის გადმოვიდა ჩვენს სახლში, მე შედარებით პატარა ვიყავი; მეორეც ის, რომ იგი მხატვარი იყო, შეკეტილი, სულ ერთთავად ხელებშეღებილი იდგა თავის სამფეხა სახატავ დაფასთან და ხატავდა, ხატავდა მთელი საღამოები. მე კი, აბა, სად მეცალა მისთვის. ერთი ხნობა ვუყურე კიდეც ჩემი აივნიდან მის საქმიანობას. რატომღაც მეგონა, ეს კაცი დღე და ღამე ერთსა და იმავეს აკეთებდა — ავლებდა ხაზებს, მერე შლიდა, ისევ ავლებდა და ასე, გაუთავებლად.

ახალი ხის გამოჩენა კი საბაბი გახდა ჩვენი დაახლოების. როგორც ძველი მობინადრე, ჩავედი მეზობელ მხატვართან. ისევ კომბინეზონით და ფუნჯებით გამომეცხადა. მართლა, მხატვარს არჩილი ერქვა სახელად.

— არჩილ! ეს საიდან? — ვკითხე მე და ახალ ხეზე ვანიშნე. ვითომ არ ენახა, გახედა ხეს, შემობრუნდა ჩემსკენ და მთელი სახით გაიღიმა.

ბიჭოს, შევაჩერდი სახეზე და ამდენი წლების მანძილზე იგი პირველად დღეს მომეწონა. წინათ ბებია მიგზავნიდა ხოლმე დიდი, თეთრი სიმინდის ტაროებს ზორბა თეთრი მარცვლებით — არჩილსაც ზუსტად ასეთი კბილები ჰქონდა.

— ეს, ჩემო გოგა, ტირიფია — ყველაზე მეტად მგრძნობიარე ხე. ხშირად დააკვირდი, რა უცნაური ცხოვრებით ცხოვრობს, ნახავ და მოგეწონება...

ეს ყველაფერი ისე ლამაზად თქვა არჩილმა, რომ მე კიდევ ერთხელ შევხედე ტირიფს.

არჩილმა თავისთან შემიპატიჟა.

მისი ოთახის კედლები სხვადასხვა ზომის სურათებით იყო აჭრელებული. ზოგი ფანქრით იყო ნახატი, ზოგიც საღებავებით, ზოგი დამთავრებული იყო, ზოგიც დაუმთავრებელი, დახაზული, გაუგებარი.

— მოგწონს? — დუმილის შემდეგ მკითხა არჩილმა. ჯერ შევყოყმანდი, შემდეგ კი თავი დავუქნიე.

— თუ გინდა შენც გასწავლი ხატვას. იქნებ გეხერხება კიდეც.

მე მხრები ავიჩეჩე უარის ნიშნად.

— შენთვის ერთი კარგი საჩუქარი მაქვს, გოგა, — თქვა ღიმილით და ბუხართან მიწყობილ სურათებს დაუწყო გადმოლაგება.

მალე კარგა მოზრდილი, ჩარჩოზე გადაკრული ტილო გამომიწოდა. თვალები გაკვირვებისაგან გამიფართოვდა, როცა ტილოზე ჩვენი ბაღი დავინახე: ზუსტად იმავე ფერებში, როგორიცაა სინამდვილეში. უფრო მეტი: არჩილს არც ჩემი აივანი გამორჩენოდა მხედველობიდან. ახლა პირველად შევამჩნიე, თუ როგორ უხდებოდა ჩემი ძველი ხის აივანი ტყედქცეულ ბაღს. ძალიან მესიამოვნა და არჩილს დიდი მადლობა გადავუხადე. იგი მიმიხვდა, რომ საჩუქარი ნამდვილად მომეწონა.

— საღამოობით ჩამოდი, როცა გეცლება. ჩემთან ბიჭები მოდიან და ბევრ საინტერესო ამბებზე ვსაუბრობთ ხოლმე...

თანხმობის ნიშნად თავი დავუკარი და ოთახიდან გამოვედი.

ტირიფის გამოჩენამ ჩვენს ბაღში, თავისი არსებობის გარდა, კიდევ ერთი კეთილი საქმე გააკეთა: სწრაფად და მტკიცედ დამაკავშირა არჩილთან. არჩილის ნაჩუქარი სურათი აივნის ბოლოს ჩამოვკიდე. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მომწონდა იგი. მხატვარს საკმაოდ დავუახლოვდი.

ხშირად ჩავდიოდი მასთან და ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო ამბების მონაწილე ვიყავი. მოდიოდნენ ახალგაზრდები, იყო ათასი ხასიათის აზრები და განწყობილებები. არჩილი იდგა და ახალ-ახალ ტილოებზე გაურკვეველ ხაზებს და პარალელებს ავლებდა. ბიჭები ხშირად ეხუმრებოდნენ.

— შენ ისეთ ლამაზ ხაზებს ავლებ ერთი ხელის მოსმით, შენგან კარგი ხაზვის მასწავლებელი გამოვაო.

იგი ოდნავ გაიღიმებდა და ისევ ავლებდა გაუთავებლად ხაზებს. არჩილი მე ძალიან მომწონდა. რა დასამალია, ალბათ, მასაც მოვწონდი, თორემ ასე გულღია და ყურადღებიანი არ იქნებოდა ჩემს მიმართ.



• • •

გვიანი შემოდგომის შაბათი საღამო იყო. დილიდან გადაუღებლად წვიმდა. როცა ცივა და წვიმს, კვირის დღეები ისე გვანან ერთმანეთს, როგორც ახეული კალენდრის ფურცლები. გარეთ გაჩერებაც აღარ შეიძლებოდა. ოდნავ შებინდებული იყო. აივანზე გამოვედი, მაინტერესებდა, არჩილი სახლში იყო თუ არა. მასთან შუქი ენთო. გავიფიქრე, ჩავალ, თუ სადმე არ აპირებს წასვლას, საღამოს მასთან გავატარებ-მეთქი. მთელი დღის წვიმისაგან ჩვენი ბაღი ერთიანად დამბალიყო. საცოდავად იდგა თეთრტყავა ტირიფი, იტყოდი, პატარა ბავშვივით ზლუქუნებსო; მობუზულიყო, ჩამოეშალა ტოტები და ასე უძრავად, გარინდებული სველდებოდა თავით ფეხებამდე.

არჩილთან ორი ამხანაგი — ოთარი და დათო დამხვდა. მათ უკვე კარგა ხანია ვიცნობდი. ისინი ხშირად მოდიოდნენ აქ. ბიჭებს მივესალმე და ბუხართან, დაბალ სავარძელში მოვკალათდი. ეს ყველაზე კარგი ადგილი იყო არჩილის ოთახში.

ბუხარს ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა. გარეთ კი, ფანჯრებზე წვიმას თავისი გაჰქონდა. მე ბევრ კარგს ვსწავლობდი არჩილისა და მისი მეგობრებისაგან. ვგრძნობდი, რომ მათთან სულ სხვანაირი ვიყავი. როცა იშლებოდნენ, ყველაზე მეტად მე განვიცდიდი, მინდოდა, უფრო დიდხანს ვყოფილიყავით ერთად. მე ახლა უფრო მეტი მესმოდა, უკვე ბევრად გავიზარდე.

ზოგჯერ შუაღამე გადავიდოდა, და მაინც ხმის ჩახლეჩამდე უმტკიცებდნენ ერთმანეთს სადაო ამბებს. ამ დროს ყველა ყურადღებიანი, თავაზიანი და მართალი იყო. გულახდილად რომ გითხრათ, არსად ჩემს ნაცნობ-ნათესავებში ამაზე უკეთესი ჭერი არ მეგულებოდა.

არჩილმა ფუნჯები და გამზადებული ჩარჩოები დერეფანში გაიტანა, მიალაგ-მოალაგა, ერთი კუნძიც მიუმარჯვა ბუხარს და ხელების დასაბანად გავიდა.

ყველა თავ-თავის ადგილზე იჯდა. ასე იწყებოდა აქ ჩვეულებრივი საღამოები, გარეთ კი ამინდი თავს იკლავდა, წვიმდა და წვიმდა.

ოთახში სითბო და თავისუფალი განწყობილება სუფევდა.

აბოლებდნენ სიგარეტებს, გადაწოლილიყვნენ სავარძლებში, იდგა სიმშვიდე. იმ წუთში, ალბათ, ყველა თავისთვის ცხოვრობდა. ერთადერთი მე ვიყავი, რომელიც არც ვეწეოდი, არც გადაწოლილი ვიყავი სავარძელში და არც არაფრით ვცხოვრობდი. ვხედავდი ყველას, ყველაფერს, ვგრძნობდი, ვიმახსოვრებდი, ვცდილობდი ვყოფილიყავი მათნაირი, მაგრამ არ გამომდიოდა.

სიწყნარემ და დუმილმა კარგა ხანს გასტანა. სიჩუმე არჩილმა დაარღვია.

— იცით რა, ბიჭებო? მე თქვენთვის ერთი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანაფიქრის გაზიარება მინდა, მხოლოდ ერთი პირობით — ყველა აზრი მართალი და პირდაპირი იყოს.

ბიჭები შეიშმუშნენ.

არჩილი წამოდგა, გავიდა დერეფანში და ჩარჩოზე გადაკრული, უსწორმასწოროდ გადახაზული ტილო შემოიტანა, ჩამოსდო ფანჯრის რაფაზე და ჩვენსკენ შემოტრიალდა...

— აი, ამ ახალ ტილოზე მინდა დავხატო ლიანდაგები... — ეს წინადადება მშვიდად და ნაღვლიანად თქვა. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მარტო ლიანდაგები? — იკითხა რეზომ.

— იქნება ორთქლმავალიც დახატია ზედ?

არჩილს არაფერი უთქვამს, ჩამოჯდა სამფეხა სკამზე და ცოტახანს გაჩუმდა.

— მე ეს ლიანდაგები თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება მაწვალებს. ვფიქრობდი ყოველთვის, მახსოვდა მუდამ... მაგრამ ვერა და ვერ მოვაბი თავი, ალბათ, იმიტომ, რომ არ ვიცი როგორ გავაკეთო, რითი დავიწყო... ერთი რამ კი საოცრად მჯერა: რადაც არ უნდა დამიჯდეს, ლიანდაგებს მაინც დავხატავ.

ლაპარაკში ოთარი ჩაერია:

— კი მაგრამ, რატომ მაინცა და მაინც ლიანდაგები?

— ამას, ჩემო ოთარ, თავისი მიზეზი აქვს, თანაც აუცილებელი, ძნელად დასავიწყარი წარსული. და, აი, ახლა, თუკი ამის სურვილი და განწყობილება გაქვთ, მომისმინეთ. ვეცდები თქვენამდეც მოვიტანო ყველაფერი ის, რაც ასე დაჟინებით მეწევა თავისკენ.

არჩილის მშვიდმა და სევდიანმა საუბარმა ცნობისმოყვარეობით შებოჭა ყველა. სავარძლებში გემრიელად მოეწყვნენ და მოსასმენად მოემზადნენ.

• • •

...თქვენ ჩემი უმაღლესი სასწავლებლის, აკადემიის ამხანაგ-მეგობრები ხართ, ასე ვთქვათ, ჩემი ქალაქელი მეგობრები.

არჩილი მცირე ხანს შეჩერდა. იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო და ბუხარს დაუწყო ცქერა.

—ჰოდა, თქვენამდე სოფელში ვცხოვრობდი; ჩვეულებრივ, პატარა სოფელში. იქ დავიბადე, გავიზარდე, იქ დავიწყე სკოლაში სიარული. შუა სოფელში რამდენიმე საკვანძო რკინიგზის ხაზი გადიოდა. ჩემი ოჯახი გადაღმა, ლიანდაგს იქით ცხოვრობდა. სოფლის ორივე მხარეს გადასასვლელი ხიდი აერთებდა. ვცხოვრობდით ჩვეულებრივად. ყველა მატარებლის საყვირი ვიცოდით ზეპირად. გადიოდა დრო. ჩვენს ეზოსა და ბიძია თორნიკეს ეზოს ზომაზე გაკრეჭილი ტრიფოლიატის ღობე ჰყოფდა. ბიძია თორნიკე სადგურში მეისრედ მუშაობდა. მასაც ჩემი კბილა ბიჭი, მამია ჰყავდა. მგონი ერთად არ დავბადებულვართ, თორემ დღენიადაგ ერთად ვიყავით. შინაურულად მამუკას ვეძახდი. მამაჩემი და ბიძია თორნიკე კარგ მეზობლობაში იყვნენ. იყო ერთი გადაპატიჟ-გადმოპატიჟება.

ბიძია თორნიკე რომ მთვრალი მიადგებოდა ჭიშკარს, შეჰყვირებდა სახლში ცოლს:

— ფოფია მელაძის ქალო, გამიღე ჭიშკარი, თორემ გადაგიყვან მესამეშიო!..

ატყდებოდა ხორხორი, სიცილი და რამდენიმე ხნის შემდეგ თორნიკე ბიძია სტვენდა სკამ-ლოგინზე. მე და მამუკას სამეზობლო საზღვარზე დიდი ტირიფის ხე გვქონდა საზიაროდ. მამუკამ იქიდან ამოაჭრა ზედ თავისი სახელი, მე კი აქედან. გადიოდა დრო, იზრდებოდა ტირიფი, ვიზრდებოდით ჩვენც. შვიდი კლასი დავამთავრეთ ერთად.

ყველაფერი ძველებურად მიდიოდა, მხოლოდ მამუკამ ბოლო დროს ხშირი ავადმყოფობა დაიწყო, ნელ-ნელა გახდა, ფერიც დაკარგა.

საღამოობით ბიჭები ხან ჩვენს კონდარზე შევიყრებოდით, ხან სხვისაზე და იყო ერთი ჟრიამული და ბურთაობა. მამუკა ნელნელა ჩამოგვშორდა. ეს ყველაზე პირველად მე ვიგრძენი. მოეფარებოდა თვალს, სადღაც გაქრებოდა. ერთ დღეს ავედევნე, ვიფიქრე, სად დადის-მეთქი.

როგორ კარგად მახსოვს ის დღე.

მაშინაც ასე ციოდა. არ წვიმდა. მთელი კვირის ნაწვიმარი კი იყო. მიდიოდა საყელოაწეული მამუკა და მივყვებოდი მეც. გადასასვლელი ხიდის წელს რომ მიაღწია, ნაბიჯს უკლო, გაჩერდა, შეტრიალდა სადგურის მხარეს და მოაჯირს ჩამოეყრდნო. უყურებდა დაბლა სადგურსა და გადახლართულ ლიანდაგებს. მეტი არაფერი არ ჩანდა ქვევით. ვიფიქრე, ეგება წუთით გაჩერდა მეთქი, მაგრამ იგი ისევ ისე იდგა უძრავად, ფეხაკრეფით მივუახლოვდი, მის გვერდით მოაჯირს ჩამოვეყუდე.

მამუკამ რომ შემამჩნია, სულაც არ გაჰკვირვებია, ოდნავ გამიღიმა და ქვევით ყურება განაგრძო, ვიყავით ასე. ცივ მოაჯირზე უსახლკარო ბეღურებივით ჩამოყუჟულები და ვიყურებოდით.

— მამუკა ბიჭო, რას მისჩერებიხარ ქვევით ამდენხანს, მეც დამანახვე — ვუთხარი მე. მამუკამ იდაყვი შეინაცვლა, ნახევარი მხრით შემოტრიალდა ჩემსკენ და...

— შეხედე, აჩიკო, რა ლამაზია ეს ვერცხლისფერი ხაზები. ასეთი ლამაზი ლიანდაგები, ალბათ, არსად არ არის ქვეყანაზე. ყოველდღე რამდენ მძიმე ტვირთს გადაიგორებენ უთვალავჯერ თავზე და მაინც თავის მზინვარებას არ კარგავენ. რა კარგად ჩაეხვევიან ერთმანეთს და როგორ იყრებიან მერე, ეცლებიან ცოტა ხნით, მერე ისევ ერთად და გვერდიგვერდ მიჰყვებიან, და სულ ასე დაუსრულებლად. შეხედე, ბიჭო, ეს ლოდივით მძიმე ვაგონები როგორ გალუნავენ წელში, კრიჭინი აუტყდებათ ხოლმე საცოდავ ლიანდაგებს, გადაიტარებენ ამ წუთიერ უსიამოვნებას და თითქოს არაფერიო, ისევ ისეთი კარგები რჩებიან.

ასეთი უნდა იყო კაცური კაცი, ასეთი ძალა და ნებისყოფა უნდა გქონდეს ცხოვრებაში!..

თავი არ ამიწევია ზევით, ლიანდაგებს ჩავჩერებოდი და მამუკას ყველა სიტყვა სრულად მესმოდა.

რა ბედნიერი ვიყავი, რომ მეც უკვე ისეთი თვალით ვხედავდი ქვევით ყველაფერს, როგორითაც მამუკა.

ვუყურეთ ასე გვიანობამდე, ვუყურეთ უხმოდ, უთქმელად. მერე სახლში წავედით. ლოგინში დიდხანს მელვიძა და ვფიქრობდი მამუკაზე, ვფიქრობდი ლიანდაგებზე, ვფიქრობდი,რა დღე გათენდა მეთქი: გარბოდნენ ჩემს სახეზე პრიალა ლიანდაგები, დამაღუნავდა ორთქლმავლები ვერცხლისფერ ხაზებზე თვალებზე, სუნთქვა მიჭირდა. ეს იყო ერთ წამს, ისევ ვხედავდი თავისუფალ გზებს, მათ გადახლართვას და მანძილს. ვფიქრობდი, ეს რა მიყო მამუკამ-მეთქი. მინდოდა მეფიქრა სხვა რამეზე, მაგრამ ვერაფრით ვახერხებდი, ყველაფერს სხვაგვარად ვგრძნობდი, სხვა თვალით. სულმოუთქმელად ველოდი გათენებას. არ მახსოვს, იმ ღამეს როდის ჩამეძინა. ყველა ეს უცნაურობა საიდანღაც მოვიდა, უკითხავად, უპრეტენზიოდ. რა ერქვა, არ ვიცოდი; მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან თბილი და აუცილებელი გახდა ჩემთვის. გადიოდა დრო. ჩვენ თითქმის ყოველ საღამოს დავდიოდით ერთად, ვუყურებდით ერთსა და იმავეს და არასოდეს არ გვწყინდებოდა.

ერთ საღამოს მაგრად გვაწვიმა მხრებზე. მიტმასნულები ვიყავით მოაჯირზე, დაბლა კი, წვიმის წვეთები დახლილი მუხუდოს მარცვლებივით სკდებოდნენ პრიალა ლიანდაგებზე, ცრემლებივით დაეკიდებოდნენ მის გვერდებს და მიგორავდნენ ქვევით, დაღმართისაკენ.

იმ ღამეს გალინა ბიცოლამ გვიან დამიძახა. გადავედი. მამუკას დიდი სიცხე ჰქონდა. გულზე მიკბინა რაღაცამ. შუაღამე გადასული იყო, თორნიკე ბიძიამ რომ გადმომაცილა. მამუკას ჩაეძინა. ყოველდღე დავდიოდი მამუკასთან. კარგა ხნის შემდეგ ფეხზეც წამოდგა, მომაგრდა. მერეც ხშირად დავდიოდით ხიდზე.

• • •

ზამთარში, არდადეგებზე მამიდამ ქალაქში წამომიყვანა. მამუკამაც გამომაცილა. დამშვიდობებისას ყურში ჩავუჩურჩულე:

— ნუ ივლი ახლა, ამ ზამთარში ხიდზე მარტო. დამიცადე, ჩამოვალ და ერთად ვიაროთ-მეთქი.

...ქალაქში პირველად ვიყავი და ყველაფერი დიდებულად მეჩვენებოდა. თითქმის ოცი დღე გაგრძელდა ჩემი სტუმრობა. მომწყინდა, გული სოფლისაკენ მიიწევდა. მთელი დღის ქალაქში ხეტიალის შემდეგ მე და ჩემი მამიდაშვილები სადილობისათვის სახლში დავბრუნდით. მამიდაჩემს სახეზე დამალული მწუხარება შევამჩნიე. სადილობის შემდეგ მამიდამ პატარა ოთახში გამიყვანა. წვალობდა, რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ახერხებდა.

მერე თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— აჩიკო, ახლა შენ უკვე კაი ხანია ჩვენთან ხარ, ალბათ, სახლიც მოგენატრა, არა?

მე თავი დავუქნიე.

— სახლშიც მოენატრებოდი თქვენებს, — განაგრძო მამიდამ.

— მე კიდევ დავუქნიე თავი.

— ჰო, მართლა, დღეს ეს დეპეშა მოსულა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფლიდან. შენი მეზობელი მამუკა რომ არის, ცუდად ყოფილა, სადღაც გაციებულა და...

უკვე აღარ მესმოდა არაფერი.

მეჭირა ხელში ყველაზე შავი დეპეშა, ვერ ვტიროდი, შიგნით კი ჩამენგრა და მეწვოდა ყველაფერი.

სოფელში მამიდა მომყვებოდა თან.

სადგურში, ხიდზე ვერ გადავედი.

მიმძიმდა ლიანდაგების გადაბიჯება, ფეხს როგორ დავადგამდი ზედ. ყველა გადახლართულ რკინაში მამუკას ვხედავდი. მეგონა მამუკა დამცქეროდა ხიდიდან. თავი ვერ ამეწია ზევით. საოცრად გაგრძელდა ეს გადასასვლელი. შუაზე რომ მივედი, თითქოს ძალა გამომელია, ძლივს დავისუნთქე და ნაცემი ძაღლივით გადავირბინე.

ლიანდაგ-ლიანდაგ გადავჭერი გზა. ჩვენს ბილიკს რომ მივუახლოვდი, ჩამოთოვლილ აივანზე ხალხი მეცა თვალში. ერთ ადგილზე გავიყინე. უკანასკნელი იმედიც მოიცელა...

მტკიოდა ყველაფერი.

ვტიროდი ისე, როგორც არასოდეს.

* * *

არჩილმა იდაყვებში ჩამალა თავი და დიდხანს სდუმდა. თავი არ აუღია, თავისთვის ყრუდ ლაპარაკობდა...

— მე დავხატავ ლიანდაგებს, დავხატავ ისეთი სიყვარულით, როგორითაც ჯერ არცერთი სურათი არ შემიქმნია. ცუდი გამოვა თუ კარგი, მე მაინც ყველაზე მეტად მეყვარება.

სიჩუმე საწვიმარი ღრუბელივით იდგა ოთახში. მხოლოდ ოთარმა, ჯერ სიგარეტს მოუკიდა და შემდეგ თავისდაუნებურად ჩაილაპარაკა:

— შენ დახატავ ლიანდაგებს იმ სიყვარულით, რა სიყვარულითაც გიყვარდა მამუკა.

ოთახში არ განძრეულა არავინ, ყველა ასე ჩაკეტილი, დალურსმული დარჩა თავთავის ადგილზე. უჩვეულოდ შეიცვალა ყველაფერი. ყველა ჩვენგანი ხედავდა სხვას, ახალს, საოცარსა და კეთილშობილს. გადავსხვაფერდით ასე... კედელზე მიკიდებულ ტილოებზე საოცრად გამრავლდნენ დაწყვებული და დაუმთავრებელი შავი ხაზები, გაცოცხლდნენ, გადიდდნენ, ზუზუნით გადადიოდნენ ერთიმეორეში, იქცნენ ძლიერად, უსასრულო ძლიერად. თვითეულ ხაკისფერ ჩარჩოდან ფართოდ თვალებგაღებული იცქირებოდა არჩილის დიდი სიყვარული, ცხოვრება, დანახული მამუკას თვალით.

არჩილმა სახე მაღლა აილო, სუფთა ტილო ოთახიდან გაიტანა და კარგა ხანი არ შემობრუნებულა. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

ბუხარი თითქოს გაციებულიყო. უძრავად იდგა ოთახში პაპიროსის ბოლი.

რეზომ ბაღის მხარეს კარები გამოაღო. წვიმას გადაეღო. შემორჩენილ წვეთებს აქა-იქ წკაპუნი გაჰქონდათ.

არჩილიც შემოვიდა ოთახში. ჩვენ ყველანი ბაღში გასასვლელ კიბეებთან გავედით.

ნაწვიმარი, კრიალა ჰაერი იყო.

ჩვენს ტირიფს ტოტები უფრო მაღლა აეკეცა, თითქოს სიცივე და სისველე დაბლა დაუბერტყავსო.

არჩილი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, გარინდებული მიშტერებოდა ტირიფს. ყველანი ჩუმად ვიყავით.

ვუყურებდით მოწმენდილ ცას, ვგრძნობდით ცივ ჰაერს, ვუსმენდით სიბნელეს და ნელ-ნელა ვფხიზლდებოდით...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიცოცხლის არსი

მცენარეთა სამყაროს გაცნობა მან ვარდ-ყვავილებით დაიწყო. ვარდ-ყვავილებს კი ხვდებოდა ყველგან — ოთახის თვითეულ კუთხესა და ფანჯრის რაფებზე, აივანსა და ეზოში; ეზოს მიკრული პატარა სკვერი ხომ ზღაპრულ ხალიჩას ჰგავდა! ვინ იცის, დღეში რამდენჯერ შეირბენდა იგი ამ სკვერში, მიუალერსებდა ყოველ ყვავილს, კონად შეკრავდა და მკერდს დაიმშვენებდა. ათი-თორმეტი წლის ბავშვს ხიბლავდა ყვავილთა ფერი და ატკბობდა მათი სურნელება.

ელენე რაზმაძის მამას—გრიგოლს უყვარდა შვილების ქალაქგარეთ (იგულისხმება ქ. გორი, სადაც რაზმაძეების ოჯახი 1918 წლიდან ცხოვრობდა) გასეირნება. დიდხანს ტკბებოდნენ ხოლმე მამაშვილნი ქართლის თვალწარმტაცი ბაღებით, გასცქეროდნენ ცისდასალიერამდე გაშლილ პურის ყანას, რომელიც ნიავის ყოველ წამოქროლვაზე ზღვასავით ღელავდა. ბავშვები ყურადღებით აკვირდებოდნენ ყველაფერს, ინტერესით უსმენდნენ მამის რჩევა-დარიგებას და შინ ნატურალური ექსპონატებით ხელსავსენი ბრუნდებოდნენ.

ბავშვობის წლებმა ღრმა კვალი დატოვა მომავალი აგრონომის მთელ შემდგომ ცხოვრებაზე. 1924 წელს ელენემ საშუალო სკოლა დაამთავრა და მტკიცედ გადაწყვიტა მიეღო უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება. ამ მიზნით იგი შევიდა ნოვოჩერკასკის სოფლის მეურნეობისა და მელიორაციის ინსტიტუტში. 1931 წელს მან აგრონომის დიპლომი მიიღო.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ელენემ საწარმოო პრაქტიკა ჩაქვის ჩაის საცდელ სადგურში გაიარა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მანდარინის ბაღში, სადაც 1940 წლამდე დაჰყო.

არასოდეს არ დაავიწყდება ელენეს ჩაქვში გატარებული წლები. აქ გაიარა მან პრაქტიკული წრთობის კარგი სკოლა, ბევრი რამ

წაიკითხა სუბტროპიკებზე, გაერკვია მათს საიდუმლოებაში. ამიერიდან ელენემ თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა ჩვენი რესპუბლიკის სუბტროპიკული მეურნეობის აღორძინებას. 1940 წელს სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა მიიღეს ასპირანტად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული მეხილეობის კათედრაზე, მაგრამ სამამულო ომმა მოუსწრო და ეს მიზანი განუხორციელებელი დარჩა.

ციტრუსოვანი მეურნეობის შემდგომი განვითარება ჯიშთა გამოცდის საქმის მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებას მოითხოვდა. ამიტომ 1946 წელს ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა სუბტროპიკული კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისია. ელენე რაზმაძე სიხარულით შეხვდა წინადადებას ემუშავა აქ სუბტროპიკული კულტურების ჯიშთა გამოცდაზე.

მას შემდეგ 18 წელი გავიდა და ელენე რაზმაძეს ერთი წუთითაც არ უღალატნია თავისი სანუკვარი საქმისათვის. აქ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიაში, გაჭაღარავდა იგი, აქვე ებრძოდა დროებით სიძნელეებს და ბევრჯერ უზეიმია გამარჯვება.

აი, ახლა ელენე რაზმაძე თავის სამუშაო მაგიდას უზის და ქაღალდს დაჰყურებს. მაგიდაზე აწყვია წიგნები, ჟურნალები, ცნობარები. ჩვენს დანახვაზე მასპინძელი დგება და გულთბილად გვესალმება. მას დაღლილი სახე და უძინარი თვალები აქვს. ელენე რაზმაძე ამ დილით დაბრუნებულა ხანგრძლივი მივლინებიდან. ამჯერად მივლინების პუნქტები გაგრა და კოხორა ყოფილა. იგი სახეგაბრწყინვებული გვიყვება, რომ ახლა ამ საბჭოთა მეურნეობებთან არსებულ ჯიშთა გამოცდის ნაკვეთებზე საქმე კარგად არის — გასულ ზამთარში ყინვისაგან დაზიანებული ციტრუსოვანთა ნარგავები ჭრილობებს იშუშებენ. ელენე დაწვრილებით ლაპარაკობს ყველასა და ყველაფერზე, მაგრამ თავის შესახებ ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია. მართალი უთქვამთ: უბრალოება ამშვენებსო ადამიანს. უკვირდები ამ პატარა ტანის, ენერგიულ, ხალისიან ქალს და გრძნობ, რომ ამ ადამიანში არის რაღაც განსაკუთრებული, რაც მხოლოდ მას ახასიათებს.

პატივცემული ელენეს შესახებ ამბობენ მხოლოდ სხვები — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მუშაკები, თანამოსაქმენი, ხელმძღვანელი ამხანაგები.

— ელენე გრიგოლის ასულს, — გვეუბნება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის ინსპექტორი საქართველოს სსრ-ში ბ. ჯანელიძე, — დაუშრეტელი ენერგია, ნათელი გონება და ოქროს ხელები აქვს. თქვენ თვითონ განსაჯეთ: იგი მუდამ დროულ, საქმიან დახმარებას უწევს რესპუბლიკაში განშტოებულ ჯიშთა გამოცდის პუნქტებს, წესრიგში აქვს „საშინაო მეურნეობა“, არის ახალგაზრდა მუშაკთა კეთილი მრჩეველი, პირნათლად ასრულებს საზოგადოებრივ დავალებებს, სისტემატურად ზრუნავს საკუთარი ცოდნის ამაღლებაზე.

ბ. ჯანელიძეზე უკეთ ვინ იცის, რომ ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისია თავის ყველა წარმატებას ელენე რაზმაძესაც უმადლის. ეს სწორედ ის კომისიაა, რომელმაც შარშან გაიმარჯვა კრასნოდარის ინსპექტურასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვისი მუშაობითაც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში არიან დაინტერესებულნი და რომლის ნაკვეთებს მრავალი დამთვალიერებელი ჰყავს.

ჯიშთა საგამომცდელო მუშაობა ძალიან შრომატევადი საქმეა. იგი საქმისადმი უაღრესად კეთილსინდისიერ, ყურადღებიან დამოკიდებულებას, ჯიშების აგროტექნიკისა და ბიოლოგიის ღრმა ცოდნას მოითხოვს.

დიდი მოვალეობა აკისრიათ ქართველ ჯიშთაგამომცდელებს. სულ ორი ათეული კაცისაგან შემდგარი ინსპექტორის მოვალეობაა იყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექციონერთა დაძაბული მუშაობის საბოლოო და მკაცრი შემფასებელი. ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის საქართველოს ინსპექტურა აჯამებს სახელმწიფო ჯიშთა გამოცდის 59 ნაკვეთზე წარმოებული მუშაობის შედეგებს, აქ ცდიან მარცვლეულსა და ბოსტნეულს, ხილ-კენკრასა და ყურძნეს, სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურებს. აქვე მოწმდება აგროტექნიკური საკითხები. გამომცდელები სწავლობენ ჯიშთა ძვირფას სამეურნეო და ბიოლოგიურ თვისებებს, მათგან ავლენენ ყველაზე საუკეთესოს და აძლევენ რეკომენდაციას წარმოებაში დასანერგად. საამაყოა აღინიშნოს, რომ ქართველმა ჯიშთაგამომცდელებმა შედარებით მოკლე დროში დაარაიონეს 49 კულტურის 231 ჯიში. ახალი დარაიონებული ჯიშები 15-30 პროცენტით მეტ მოსავალს იძლევა წარმოებაში წინათ დარაიონებულ ან გავრცელებულ ძველ ჯიშებთან შედარებით. ამიტომ სავსებით გასაგებია ის დიდი ყურადღება, რასაც პარტია და მთავრობა იჩენენ წარმოებაში ახალდარაიონებული, მაღალმოსავლიანი ჯიშების დანერგვისადმი.

ორიოდე სიტყვა, კერძოდ, სუბტროპიკული კულტურების ჯიშთა გამოცდაზე. ჩვენი რესპუბლიკის კლიმატური პირობები ყოველთვის როდი ანებივრებს ამ კულტურებს; ზოგან ყინვების გავლენას განიცდიან ისინი, ზოგან კი ნარგავებს საშინელი ავადმყოფობანი ანადგურებს. მიუხედავად ამისა, ჯიშთაგამომცდელები, სელექციონერებთან ერთად დაჟინებით ეძებენ ყინვაგამძლე და მაღალსეკოგამძლე, მალმწიფად და არომატულ ჯიშებს.

დარაიონებულ ჯიშს უნდა ახასიათებდეს შემდეგი თვისებანი: იყოს მაღალმოსავლიანი, იძლეოდეს გემრიელ, ლამაზ ნაყოფს, რომელიც დიდხანს ინახება და კარგად უძლებს გადატანას.

ადამიანს წარმოდგენაც არ შეუძლია, რამდენი უძილო ღამე უნდა გაატაროს გამომცდელმა თვითეული ჯიშის დარაიონებამდე, რომ უპასუხოს კითხვას: — როგორ შეეგუება იგი ახალ გარემოს?

— ვინ იცის, რამდენჯერ ვაჯამებთ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მიერ წლობით დაყენებული ცდების ჩანაწერებსა და მათ შედეგებს, — გვეუბნება ელენე რაზმაძე, — ვაკვირდებით ყოველ წვრილმანს და ვითვალისწინებთ თვითეულ შესაძლებლობას, ადგილზე ვაკონტროლებთ უკვე მრავალჯერ შემოწმებულს.

ელენე რაზმაძე დიდ დროს მივლინებებში, ჯიშთა გამოცდის ნაკვეთებში, წარმოებას მუშაკებთან ატარებს. ამიტომ მან ხუთი თითივით იცის, რომელ რაიონში ჯიშთა გამოცდის როგორი ნაკვეთია, რა მდგომარეობაში აქვთ ციტრუსოვანთა კულტურები. პლანტაციებში უშუალოდ ეცნობა იგი ნიადაგის თვისებებს, მცენარეთა დამუშავების მდგომარეობას, ადგენს ახალი ნარგავების გაშენების გეგმას, ამოწმებს სანერგეებს. ზოგს საქმიან რჩევა-დარიგებას აძლევს, ზოგს პრაქტიკულად უჩვენებს ნაკლოვანებათა დაძლევის გზებს. ხდება ხოლმე ისეც, როცა მისი მასალების საფუძველზე ზოგ მუშაკს სახელმწიფო კომისიის ინსპექტურაში „შეახურებენ“.

ელენე რაზმაძისათვის ძვირად ფასობს ყოველი წუთი, რადგან კარგად იცის, რომ შრომას, როგორც ფრთებს ფრინველი, ადამიანი მაღლა აჰყავს. შრომით მოიპოვა მან მაღალი ავტორიტეტი, შრომით დაიმსახურა მრავალი მადლობა და ჯილდო.

ბევრს უკვირს, რომ ინსპექტურაში დაძაბული შრომის შემდეგ ელენე რაზმაძეს ხშირად სახლშიც მიაქვს სამსახურის გადაუდებელი სამუშაოები. ამას დაუმატეთ საოჯახო ზრუნვა, საკუთარ თავზე მუშაობა და აღარ გაგიკვირდებათ, თუ რატომ გამოკრთის გვიან ღამემდე მისი ოთახის სარკმლიდან ელექტროშუქი.

დიდი იმედები ცოცხლობს ელენეს გულში. ცხოვრება წინ მიდის, მაშასადამე, ადამიანი უნდა იყურებოდეს წინ და ახალ გზებს ეძებდეს.

აი, სამუშაო დამთავრდა და ჩვენ ერთად გამოვედით ოთახიდან.

— თქვენ დღეს ძალიან დაღლილი ჩანხართ, — ვეუბნები პატივცემულ ელენეს.

— მართალია, მაგრამ იცხოვრო, ეს უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს ემსახურო სამშობლოს, მოუტანო ადამიანებს სიხარული, ბედნიერება. ამაშია ჩვენი სიცოცხლის არსი.

**გ. ზუკაკიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყოველი დედა

კლიმენტი გოგიავა

მხატვარი დ. ბაშელეიშვილი

## მ ო თ ხ რ ო ბ ა

თბილისში გრიგოლ ჭავჭავაძე მოულოდნელად ჩამოვიდა. მაშინვე პანსიონს მიაშურა. ილია შეკრთა.

— მამი, ხომ მშვიდობაა?

— მშვიდობაზე რა გითხრა და, დედა კი ავად გვყავს.

— რა დაემართა?!

— ჩვენმა ექიმმა ვერაფერი გაუგო. ახლა აქედან მიმყავს ექიმი. ძალიან მოენატრე, უნდა წამოხვიდე.

ილია თავის ოთახში შევიდა. პალტო ჩაიცვა, თავზე ოქროს სირმიანი ყაბალახი შემოიხვია, ამხანაგებს გაუკვირდათ: სად მიდიხარო.

ილიამ ხმა ვერ ამოიღო, ლოყაზე ცხელი ცრემლი ჩამოუგორდა, ოთახიდან თავჩაღუნული გავიდა.

გრიგოლი ამასობაში პანსიონის პატრონის, გერმანელ ჰაკეს კაბინეტში შევიდა. ილიამაც იქითკენ გასწია, მაგრამ დაკაკუნება ვერ გაბედა, კართან გაჩერდა. „არ გამიშვებს, ქირისდღესავით ეჯავრება სკოლის გაცდენა“, ფიქრობდა ილია. კარი ოდნავ გამოღებული იყო, მაგრამ მაინც ვერ გაიგონა მამის ლაპარაკი, ჰაკეს მჭივანა ხმა კი ცივად ჩაესმა:

— მაშ მიგყავთ, არა?—

— მიმყავს. დედას შვილი არ ვაჩვენო?

— რომ აჩვენოთ რას არგებს, მოარჩენს?

— განა შვილი არა გყავს? რომ კვდებოდე, არ უნდა გნახოს?

— არა. დაიზაფრება, ცოდვაა.

— ჩვენი წესი ეგრე არ არის. შვილის დანახვა მომაკვდავს გულს გაუხსნის, ამ ქვეყნისკენ მოაბრუნებს, — მიახალა გრიგოლმა, კაბინეტიდან გამოვიდა და იქვე ატუზულ ილიას ხელი ჩასჭიდა.

— წამოდი, შვილო!

ცივი ქარი უბერავდა. აპრილმა გააუგემურა გაზაფხული, უშნოდ აცივდა. პანსიონის ეზოში აყვავებულ ნუშს გახედა გრიგოლმა, თუმცა ამისი გული სულაც არ ჰქონდა, მაგრამ მაინც თქვა:

— ჩვენთან ასე არ ცივა, ნუშები კარგად არიან. აქ კი დამზრალა.

ილია მორჩილად მიჰყვებოდა მამას. მოედანზე ეტლში ჩასხდნენ, მიხვეულ-მოხვეული გზები გაიარეს, მწვანედ შეღებილ სახლს მიადგნენ. ილია ეტლში დარჩა, მამა იმ სახლში შევიდა, მსუქან ექიმთან ერთად მალე გამობრუნდა.

ექიმი ეტლში ჩაჯდა, წამლებითა და ხელსაწყოებით სავსე პატარა ჩემოდანი მუხლზე დაიდო.

მეეტლემ შეუყიჯინა ცხენებს და მგზავრები დილიჟანსების ბირჟაში მიიყვანა.

იქ წითლად შეღებილ დილიჟანსში ჩასხდნენ, რომელსაც ოთხი ცხენი ება. ეჟვნების ჟღარა-ჟღურით ჩაუქროლა დილიჟანსმა ნავთლუღს და კახეთის გზატკეცილზე გავიდა.

რა გახარებული მოეშურებოდა ილია თბილისისაკენ. ამ გზატკეცილზე მქროლავი დილიჟანსის სარკმლიდან თავგამოყოფილს არც ერთი ხე და სახლი არ დაუტოვებია თვალშეუვლებელი. ანჩხლი ძაღლების ყეფა და ღრენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიმილსა ჰგვრიდა, ნათელი ფიქრები გულზე ტკბილად ეწურებოდა ახალი ყოფისა და ცხოვრების მომლოდინეს.

თბილისმა გულში ჩაიხუტა კახელი ბიჭი. ყველაფერი მოსწონდა ამ დიდ ქალაქში: მაღალი სახლები, ბაღები, ბაზრები და ქუჩები, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები, სკოლის ამხანაგები. მაგრამ არ მოსწონდა ჰაკე. ჰაკე მოწაფეს ერთს არ გაუცინებდა. სულ მუდამ დაბღვერილი დადიოდა, მიზეზიანი და სასტიკი იყო.

ილია ნატრობდა სოფლელ მასწავლებელს, ბავშვის ამყოლ-დამყოლსა და გულის მესაიდუმლეს. რამდენი ზღაპარი იცოდა, რამდენი ისტორიული ამბავი...

„ჰაკე კი ათასში ერთხელ თავის პიანინოს მიუჯდება, თვითონ უკრავს და გვაქეზებს იმღერეთო, მაგრამ იმას კი არ კითხულობს გვემღერება თუ არა. ჯერ გვეჩხუბება, გვცემს, მერე სიმღერის გუნებაზე ვიქნებით?“ — ფიქრობდა ილია და ფიქრით ხან პანსიონში იყო, ხან დედასთან. უფრო კი დედასთან, მის ცხელ მკერდს ეკვროდა.

გზა არ ილეოდა. ცხენები ორჯერ გამოსცვალეს, მაგრამ ყვარელში მაინც ვერ მივიდნენ.

გზასა და ფიქრს ბოლო არ უჩანდა.

ექიმს მშვიდად ეძინა. მამა ხმას არ იღებდა. ილია ალღოთი ხვდებოდა, რომ საქმე კარგად არ იყო. ვიღაც მგზავრმა დუმილს ვერ გაუძლო და სიმღერა წამოიწყო, ილიას ეგონა ექიმი გაიღვიძებდა, მაგრამ არა. ის კაცი კი მღეროდა თავისთვის ხმამაღლა, თითქოს ღამის გზაზე მარტო ყოფილიყო.

დილიჟანსი ყვარელში შევიდა.

აი, ილიას სახლი.

დედა!

ჯერ ექიმი შევიდა შინ. ილიას უთხრეს მოიცადეო. შეწუხებულს გამზრდელმა სალომემ ჩაავლო ხელი და თავის ოთახში შეიყვანა. აქ ძმები და დები დაუხვდნენ, ნამტირალევი თვალები გაუბრწყინდათ.

სალომე ვერცერთ ბავშვს ვერ უყურებდა, ცრემლის დასამალავად თვალებზე მერდინს იფარებდა.

გრიგოლი გვიან შემოვიდა და ბავშვებს გამოუცხადა:

— არცერთი არ შეხვიდეთ დედასთან, — ილიას კი თავზე ხელი გადაუსვა და ცრემლიანი ხმით უთხრა, — ტყუილად ჩამოგიყვანე. ნახვა არ შეიძლება!

ექიმი ცალკე ოთახში მოათავსეს, ბუხარი დაუნთეს, თეთრი რცხილის კუნძებს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა.

ექიმს ამ სახლიდან უხილავი ძალა ეზიდებოდა. სატკივარს უებარი წამალი ვერ მოუნახა, უძლური აღმოჩნდა, ავადმყოფს ნემსი გაუკეთა, ფხვნილიც მისცა, მაგრამ ეს მაინც ის მალამო არ იყო, დავრდომილს რომ ამ ქვეყნისკენ მოაბრუნებს.

გრიგოლი თვალებში შესცქეროდა შეწუხებულ ექიმს. ნიკოლაი პეტროვიჩი ხმას არ იღებდა. მან მოგიზგიზე ბუხარს ზურგი მიუშვირა და მასპინძელს ჰკითხა:

— რამდენი შვილი გყავთ?

— ხუთი.

არაფერი უთქვამს. თავი მძიმედ გაიქნ-გამოიქნია.

გრიგოლმა შეატყო, საქმე რომ ცუდად იყო, ექიმს შიშით ვერაფერი ვერ ჰკითხა, კიდევ ჰქონდა პატარა იმედი და მისი დაკარგვა არ უნდოდა.

ვახშამი შემოიტანეს: ცხვრის ყაურმა და ალაზნის ლოქო, ნიორ-წყალში ჩაწყობილი.

მაგრამ ივან პეტროვიჩმა პირი არაფერს არ დააკარა, ღვინით სავსე ჭიქა აიღო მხოლოდ და თქვა:

— ავადმყოფს გაუმარჯოს, იცოცხლოს ამ ოჯახის საბედნიეროდ!

— ამინ! — დაუდასტურა გრიგოლმა.

მერე ექიმი წამოდგა, იქვე კუთხეში მრგვალი მაგიდიდან „ვეფხის ტყაოსანი“ აიღო. გრიგოლმა თვალი მიადევნა ექიმს, მოაგონდა, მარიამის მამამ, ქრისტეფორე ბებურიშვილმა, მზითვებთან ერთად რა მოწიწებით მიართვა ეს წიგნი და თან ამაყად დაატანა:

— ჩემმა ქალიშვილმა ზეპირად იცის ეს პოემა.

მარიამი კარგი მწიგნობარი გამოდგა, ბავშვებს შოთას ლექსი ზეპირად შეასწავლა.

ექიმი აივანზე გავიდა, წინ და უკან დაიწყო სიარული.

მთვარიანი ღამე იყო. ალაზნის ველი ვერცხლისფერ სხივებს გაევსო.

ბავშვები ფანჯრიდან უცქეროდნენ ექიმს. ექიმი ბოძთან იდგა და გაჰყურებდა ლამაზ ხეობას, რომელიც შუაზე დაღესტნისაკენ მიმავალ შარაგზას გაეჭრა.

ილიამ ივახშმა, პატარა ძმა თემური ჩაიხუტა და დაიძინა. ნამგზავრს ერთხანს კარგად ეძინა, მის ფართო შუბლსა და ხუჭუჭ თმას ჩაწეული ლამპის მკრთალი შუქი ანათებდა.

— დედა, დედა! — ძილში წამოიძახა და წამოჯდა.

— რა იყო, ილია! — მაშინვე მასთან გაჩნდა ფრთხილი სალომე.

— ჩემთან დედიკო მოდიოდა, მაგრამ — ხელით თვალებს ისრესდა ძილღვიძილში მყოფი, — მაგრამ ექიმმა არ გამოუშვა...

— კარგი, დაიძინე, დაიძინე! — სალომემ ბალიშზე მიაწვინა, საბანი დაახურა და წავიდა.

ილიას არ დაეძინა. ჩუმად ადგა, ჩაიცვა, დედის ოთახის კარი დაკეტილი დაუხვდა. მაშინვე აივანზე გავიდა და ფანჯრიდან შეიხედა ოთახში. ლამპისათვის არ ჩაუწევიათ, ოთახი განათებული იყო. ბედზე ფარდაც ცოტა გაწეული აღმოჩნდა და ბალიშებზე მისვენებული დედა კარგად ჩანდა.

უცქირა, უცქირა ილიამ, ჯავრმა თვალები ამოუშრო და დედამ მაინც ხმა არ გასცა.

„ნუთუ ვერ მხედავს“? ფიქრობდა ბიჭი. მინას ტუჩი მიადო და დაუძახა:

— დედი, დედი!

ავადმყოფმა თავი წამოსწია.

— დედი!

— მეჩვენება... თუ შენა ხარ, ილია?

— მე ვარ, დედა.

მარიამი ფანჯარას მიადგა, ფარდა გასწია. ლამპის შუქმა ილიას წამონთებული სახე გაანათა.

— კარი გამიღე!

— არა, ნუ შემოხვალ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— უნდა გაკოცო, დედა.

— მე თვითონ გაკოცებ, შვილო.

დედა დაიხარა, მინას ტუჩი მიადო, ილიამაც გარედან შეაგება ამობურცული ტუჩი. ცივი მინა ორივე მხარეს შეიორთქლა.

— წადი, წადი გაცივდები!

დედა ლოგინისკენ წაბარბაცდა და იქვე კედელს მუშტი დაუშინა.

— რა ძილქუში დაგეცათ, ბავშვს მიხედეთ!

ილია შევიდა თავის ოთახში, თემურის მშვიდად ეძინა, ჩაწეული ლამპა ოდნავ ანათებდა მაგიდას. მაგიდის ერთ კუთხეში წიგნები და რვეულები ეწყო. ილია მაგიდას მიუჯდა. დედა ამ რვეულებს საგანგებოდ ინახავდა. ახლა ვიღაცას სკივრიდან ამოუღია. ნეტავი, ვის რაში მოაგონდა? ილიამ რვეულები გადაშალ-გადმოშალა. აი, უფროსი ძმის კონსტანტინეს რვეულები. დედის მიერ ლამაზად გამოყვანილი „ანი და ბანი", მერე კონსტანტინეს გაუწაფავი ხელით დაწერილი ჯუჯა ასოები. მერე ნინოს რვეული აიღო; ნინოს ლამაზი წერა სცოდნია, მაგრამ ასოებს ვერ აბამს ერთიმეორეს, მისი ნაწერი დაბეჭდილსა ჰგავს. ბოლოს თავისი რვეულიც გადაშალა. თვითონ ასოებს ძალიან წვრილსა და პატარას წერს, დედა უჯავრდება, ცოტა დაამსხვილე, ქაღალდი რად გენანებაო. ილიას ქართული ანბანის დრომოჭმულმა ასოებმა საქმე გაუჭირა. ვერაფერი ვერ გამოიყვანა დედის მოსაწონად.

რვეულების თვალიერებას რომ მორჩა, მერე ვახტანგ ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრება" აიღო და მის კითხვაში ჩაეძინა.

დილას მარიამმა გრიგოლს უსაყვედურა:

— ბიჭი სწავლას რად მოაცდინე, ახლავე გაისტუმრე!

ექიმმა წამლები, რაც დასატოვებელი იყო, დასტოვა, რჩევა-დარიგებაც არ დაიზარა და გასამგზავრებლად მოემზადა.

გრიგოლმა ილიას ხორაგით გაუვსო ჭრელი ხურჯინი, ასაუზმა და უთხრა:

— სწავლას ნუღა მოსცდები.

— წავიდე?

— ჰო, შვილო.

— რისთვის ჩამომიყვანე?!

გრიგოლმა ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა და უთხრა:

— დედაშენმა მთხოვა ახლავე გაისტუმრეო.

— არა, ჩემი დედა ამას არ გეტყოდა! — ხმამაღლა მიუგო აღელვებულმა.

მისი სიტყვები მეორე ოთახში მარიამმა გაიგონა და იქიდან გამოსძახა:

— ვთქვი შვილო, ვთქვი. აქ რას მარგებ, სწავლას კი სცდები.

— არა, მამა, კარგად გახდეს და მერე წავალ.

— ილიას ცრემლებმა და სიტყვამ გული მოუწვა გრიგოლს, ტუჩზე მიიდო თითი, ბიჭს ანიშნა, ხმა არ ამოიღოო, თვითონ ექიმი ჭიშკრამდე მიაცილა და მერე მოსამსახურე ბიჭი გააყოლა დილიჟანსის სადგურამდე.

ილია მამას ეზოში შეეგება.

— ნამდვილი ჭავჭავაძე ხარ, შენი ხომ გაიტანე! — უთხრა გრიგოლმა.

მაგრამ ილია სოფელში დიდხანს არ დარჩენილა, მარიამს ავადმყოფობა მალე მოერია და საუკუნოდ დახუჭა თვალი.

გაზაფხულმა თბილისი გაათბო. პანსიონის ბიჭებმა საზამთრო ტანისამოსი გაიხადეს, ზოგმა თეთრი ხალათიც კი ჩაიცვა.

ილია მოვიდა პანსიონში. შავი ხალათი ეცვა, სახე გაცრეცილი ჰქონდა, თვალები ჩაწითლებული. მოხუცმა მასწავლებელმა მხარზე ხელი გადაჰხვია:

— სწავლა, მეგობარო, მხოლოდ სწავლით უკვდავყოფ დედაშენის სახელს.

* * *

ზაფხულია. ილიას შავი ხალათი გახუნებია. უმცროსი ძმა—თემური შეუსვამს მხარზე, აჩუ-აჩუს იძახის, ეზოში დარბის. ბავშვი იცინის და თავზე ხელებს უტყაპუნებს. ილია ხშირხშირად გზისკენ იხედება, მამას შეაგვიანდა, გუშინწინ უნდა ჩამოსულიყო, მაკრინეც ჩამოეყვანა. მამიდა მაკრინე ილიას ძალიან უყვარს. შარშან ორი თვე იყო მასთან, მამიდამ ქამარ-ხანჯალი აჩუქა, გაიზრდები გამოგადგებაო. გულმა ვერ მოუთმინა, ილიამ ვერცხლის ბალთებიანი ქამარი შემოირტყა, ზედ ხანჯალი დაიკიდა და სარკეში ჩაიხედა.

ბევრი რამ აკლია კაცობას. არც ულვაში ჰქონდა, არც წვერი, არც სიმაღლე, ხანჯალი იატაკზე ეთრეოდა. ახლა ეს ძვირფასი ქამარ-ხანჯალი განჯინაში ჰკიდია, მამის სამხედრო მუნდირთან ერთად.

რა კეთილია მამიდა, ალერსიანი. ისეთი მოფერება იცის, პირში თაფლი უდნება.

ცხენების თქარათქური მოესმა. ჭიშკარში გავიდა, შარაგზაზე მტვრის ღრუბელი მოგროვდა. ცხენოსნები გამოჩნდნენ.

— მამიდა, მამიდა!

დიდი და პატარა შემოეხვივნენ მაკრინეს. მაკრინემ ბავშვები დაჰკოცნა, მაგრამ ცრემლი? იცინის, თვალები კი ცრემლით ავსებია. ილიამ შენიშნა ეს ცრემლი და გული აემღვრა.

მერე, საღამოს, აივანზე ჩაის რომ მიირთმევდნენ, გრიგოლი ნაღვლიანად ამბობდა:

— ოჯახს რომ დედაბოძი გამოეცლება, იმის საქმე წასულია, ბავშვები მეცოდება, თორემ ჩემი თავი ჯანაბას.

— ვინც მოკვდა, თავს მოუკვდა, საცოდავი ის არის, თორემ ცოცხლებს რა გიჭირთ.

— შენს ხელში მართლაც არ უნდა გაგვიჭირდეს! — უთხრა ძმამ.

გრიგოლმა მთელი ოჯახი და ბავშვების აღზრდაც მაკრინეს ჩააბარა.

მაკრინე, ივანე არაგვის ერისთავის მეუღლე, ყოველმხრივ დაჩაგრა ბედმა, ქმარი მალე გარდაეცვალა, შვილიც არ ჰყავდა, მარტოდმარტო იყო. თავის ძმისწულებს გულის კარი გაუღო. ნამდვილი დედობა გაუწია, ძმისწულებიც არ დარჩნენ ვალში. უკვე საქვეყნოდ ცნობილი, ჭაღარა ილია თავის ამაგდარ მამიდას სწერდა:

„რაც თქვენ ჩვენთვის სიკეთე გიქნიათ ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის, მე რომ მინდა მანდ გადმოსვლა, იმიტომ უფრო, მამიდაჯან, რომ თქვენ თან გახლდეთ და ჩემი დღენი თქვენს პატივისცემაში, სიამოვნებაში დავლიო".



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადლიერია სოფელი



ჯერ სად არის, ცას რიჟრაჟიც არ შეხებია, ღია ფანჯარასთან ისეთი სიჩუმე დგას, რომ იფიქრებ, სწორედ ის წუთია, როცა ადამიანს ყველაზე მაგრად სძინავს. დღისა და ღამის შეხვედრამდე ჯერ შორია და გურიის სოფელ მახარაძეში ყველა სახლის ყველა ფანჯრიდან იცქირება სიბნელე. მერე ოდნავ ისახება თეთრი ბურუსი, მერე ოთახში ნივთები ლაგდებიან თავის ალაგას.

ეს დრო უკვე გვიანაა ქეთოსათვის, დგება დაფეთებული და გვერდით იყურება. საწოლზე ოთხმოცდათოთხმეტი წლის ქალი წევს. ოთახში ჭირს მისი დანაოჭებული სახის გარჩევა, მაგრამ ქეთოს ესმის დედის მშვიდი სუნთქვა და უხმოდ აღებს კარს.

სამზადამდე მიჰყვება ღიმილი, მერე სახეზე სხვა ფიქრი გადაუვლის, ქვაბს რეცხავს, შუაცეცხლს ანთებს და ქვაბში სუფთა წყალს ასხამს. ცალ ხელს მიწაზე აბჯენს, ცალით ფიჩხებს ასწორებს, ცეცხლი ძლიერდება და ცეცხლის თავზე ჯაჭვი და ქვაბი ორივე ქანაობს. ქეთო უკვე კეცებს ასუფთავებს და პირქვე ამხობს, ამასობაში ქვაბიც ერთ ადგილზე ჩერდება.

ფიქრი კი გადადის ერთიდან მეორეზე, სახეზე ისევ ჩნდება ღიმილი: „როგორც იქნა შევარიგეთ დამდურებული მეზობლები".

ისინი კარგახანს დამდურებული იყვნენ. ავმა ენამ წაჰკიდა ერთმანეთს კარის მეზობლები. ბევრი ეჩაუბრა მათ ქეთო, საბჭოშიც დაიბარა ოჯახის დიასახლისები ცალცალკე. უფრო გაკაპასდნენ მეზობლები, ის ასეთი და ისეთიო, — საბჭოს თავმჯდომარესთანაც არ დაერიდნენ ცუდ სიტყვას. მაშინ ქეთო სერგო მგალობლიშვილს მოელაპარაკა, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეს, მასთან ერთად მოიწვია სოფელი და საქმე ხალხს მიანდო.

ადამიანები შრომობენ და ამბობენ, რომ კომუნიზმში მოუწევთ ცხოვრება. ადამიანები კი, პირველ რიგში, კომუნიზმში რომ იცხოვრონ, ერთმანეთის მოყვარენი და გამტანები უნდა იყვნენ. სოფელი მაშინაა ძლიერი, როცა ჭორი და ცუდი სიტყვა დავიწყებულია და ყველა ოჯახს სხვა ოჯახის ბედნიერება და მშვიდობა სწყურია. ეს ადამიანები, დიდიან-პატარიანად, სიტკბოებაში უნდა გაიზარდონ და დაბერდნენ. მათ სახლები უდგათ სხვადასხვა, თორემ ერთ მიწაზე დადიან და ერთი მიწა აჭმევს.

იმსჯელა სოფელმა და დაადგინა: ამიერიდან მშვიდობა ჩამოვარდეს ამ ორ სახლში.

ჯერ ქვაბი ათუხთუხდა, მერე მჭადებმა წაბლის ფოთლის სუნი აუშვეს. ამასობაში ქეთომ სახლი მიალაგა, დედის საუზმე ოთახში შეიტანა და მაგიდაზე დააწყო. ქეთო რომ დილაადრიან გაიხურავს კარს და წავა, დედა მარტო რჩება სახლში. გვიან გამოვა აივანზე, მოაჯირზე ხელს მოაფათურებს, ეზოში ჩავა, ქათმებს საკენკს დაუყრის, მიიხედ-მოიხედავს და უკვე დაღლას იგრძნობს.

ქეთოს მოსვლამდე თუ სტუმარი მოვიდა შინ, დედას მეტი არ უნდა. სტუმართმოყვარე გოგუაძეების ოჯახში გარეშე რომ ფეხს შემოდგამს, ოთხმოცდათოთხმეტი წლის ნინუცას ახალგაზრდობა ისევ უბრუნდება, აცახცახებული ხელით გამოაქვს ღვინის ხელადა და თეფშებს რომ გამოალაგებს, სტუმარი იქით თუ არ მიეხმარა, მეტი გზა არ არის. თამადობაში ნინუცა ვის არ აჯობებს,—ეს გაუმარჯოს იმას, ვისაც ვინ უყვარსო,— ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად იტყვის, მოსულს ღიმილით თვალს ჩაუკრავს და გააცინებს.

ასეთი კარგი დედის შვილია ქეთევან გოგუაძე, მახარაძის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. თვითონაც რომ კარგი შვილია, ალბათ, იმიტომაა, დედის თანატოლების ნახვა რომ უხარია. უნახავს არ დასტოვებს არცერთს, თუ მათ სახლთან არის და წინ უნდა ჩაიაროს. ასი წლის ანა თავდიშვილს შეურბენს, ოთხმოცდაათი წლის საშა გოგუაძესთან გაჩნდება, მერე ოთხმოცდაათი წლის ისაკ ჩხაიძეს მშვიდობიანი ღამეს უსურვებს და რაც არ უნდა ეჩქარებოდეს, შარშანწინდელ ამბავს მაინც ჰკითხავს.

„ის როგორ იყო, ძია ისაკ, სკამზე რომ იჯექი და ისე ჰკრეფდი ჩაის?"

„აბა, რავა, გოგო, მარტო ახალგაზრდებმა უნდა კრიფოთ? მეც გავანძრიო ჩემი ბებერი ხელები, სანამ დავდივარ დედამიწაზე. ბარემ, ახლაც წავიდოდი, მარა, ძვლები არ მიშვებს".

შარშანწინ სკამზე იჯდა ისაკ ჩხაიძე და ისე კრეფდა ჩაის. განა რას მოჰკრეფდა, მაგრამ ხალხის ყურება ახარებდა. მისი შემხედვარე ახალგაზრდები ძაან გაბეჯითდნენ, რცხვენოდათ მისი და დასვენება არ აგონდებოდათ. ძია ისაკმა არ იცის, არც იმ ახალგაზრდებმა იციან, რას ნიშნავდა მათთვის სკამზე მჯდარი მოხუცი. ისაკი მთელი წიგნი იყო ცხოვრების და შრომის, ისაკი კაცობის და ნამუსის მაგალითი იყო მაშინ, როცა სოფელს საქმისაგან თავზე ცეცხლი ეკიდა. იქნებ ეს მოხუცი უფრო მეტს აკეთებდა, ვიდრე სოფლის საბჭოს თავმჯდომარის თხოვნა — პლანტაციაში არ დაიგვიანოთო.

„ბარე, ახლაც წამოვიდოდი, მარა ძვლები არ მიშვებს" — შარაზე მიჰყვება ეს სიტყვები ქეთოს და გული სტკივა: ასეთი ადამიანები არ უნდა ტოვებდნენ სოფელს!

მადლობა ღმერთს, სოფელში ბევრნი არიან კარგები! ეს რომ ასე არ იყოს, ყოველ ცისმარე დილას რა არბენინებდა პლანტაციაში, რომ სანამ ბრიგადირები და ბრიგადის წევრები გამოჩნდებიან, ამბავი დაახვედროს, მოსაკრეფია თუ არა დუყები, გვერდითი ფოთლები კრიფონ თუ სულ არ ჩავიდნენ კვლებში, ტყუილად არ მოცდნენ, სხვა საქმეს ეწიონ. საკოლმეურნეო მინდვრებზე სოფელში ახლადდასახლებულებიც თავდადებით შრომობენ. ოცი ოჯახი ონიანებისა ცხოვრობს სოფელ მახარაძეში, ოცდაოთხი ოჯახი ქლუხორიდან მოსული რაჭველები არიან. საქმე ის არის, რომ ამ ხალხმა შეიყვარა ჩაის ბუჩქი და კოლმეურნეობის საერთო შემოსავალში მათი ნაშრომიც არის. ახალმოსახლეებს თავისებური ხასიათები და ჩვევები აქვთ და ყველაზე მეტი ყურადღება ქეთოსაგან მათ სჭირდებათ. თუნდაც, სწავლა-განათლების საქმე ავიღოთ. თორმეტი წლის გოგონა ონიანების ოჯახიდან როგორც იქნა პირველ კლასში გაუშვეს მშობლებმა. იქ, ალბათ, შვიდი წლის ბავშვების დაცინვისა შერცხვა გოგონას და სკოლაში წასვლაზე უარი განაცხადა. საქმეში სკოლის დირექტორი ჩაერია, მაგრამ ეს ამბავი მაინც არ მოგვარდა, სანამ ქეთომ გოგონა არ გადაიბირა. ზოგ ზრდადასრულებულს სწავლა თუ არა შრომა ეზარება და აქაც სოფლის საბჭოს თავმჯდომარის სიმტკიცეს აწყდება.

ახლა მასზე გაპიროვნებული ფართობიც მისახედი აქვს ქეთოს. სამი ათას მეტრზე გასულ წელს 1500 კილოგრამი ჩაი უნდა მოეკრიფა და 3 ათასი კილოგრამი მოკრიფა, 5 ათას მეტრ ფართობზე სიმინდი გათოხნა.

სოფელი კი დიდი რთული რამ არის. თუ მას მთლიანად არ ეკუთვნი და არ პატრონობ, მადლიერი არ დაგრჩება. ქეთო გოგუაძე თორმეტი წელია სასოფლო საბჭოს უცვლელი თავმჯდომარეა. პირველად რომ საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, სოფელში ზოგს ეჭვი შეეპარა — პედაგოგი ქალი 407 კომლს როგორ მოუვლისო. მოუარა და კეთილმოწყობილი გახადა სოფელი, გზები გაიყვანა, ხარაჩოები გამართა. ახლა სტუმარი რომ ჩავიდეს და ხიდს გადაღმა გზაზე შემხვედრებს დააკვირდეს, მიხვდება: სოფელი პატიოსანია, ხალხიც კეთილი ცხოვრობს და შრომის სიყვარული აქვთ. სოფლის გზატკეცილები, კლუბი, ბიბლიოთეკა, რვაწლიანი სკოლა, საექიმო პუნქტი, გაგრძნობინებთ, რომ ვიღაც ფიქრობს ყველაფერზე და ეს ვიღაცა მარტო როდია, მასთან მთელი სოფელია.

და სოფელი მადლიერია.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კანანაძეების ოჯახი



გიორგი და ბაბულია კანანაძეები

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის სავეტერინარო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებთან ვატარებდი სემინარს დიალექტიკურ მატერიალიზმში. სასემინარო თემა იყო ფრ. ენგელსის „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული". მეცადინეობის დროს ყურადღება მიიქცია სუსტი აღნაგობის, სანდომიანი სახის ჭაბუკმა თავისი სერიოზულობით, ნათელი გონებით და საკითხების ღრმა ცოდნით. იგრძნობოდა, რომ სტუდენტს ენგელსის შრომა გულმოდგინედ შეესწავლა, მის შინაარსს ღრმად ჩაწვდომოდა და ძირითად მასალასთან ერთად დამხმარე ლიტერატურაც დაემუშავებინა. პირველ სემინარს მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე. სტუდენტი დიმიტრი კანანაძე ამჟღავნებდა არა მარტო საგნის ცოდნას, არამედ მთელ რიგ დადებით თვისებებს, რაც პირველ ხანებში შეუმჩნეველი იყო — შრომისადმი სიყვარულს, ცოდნის დაუცხრომელ წყურვილს, კარგი ათვისების უნარს, დისციპლინას, თავმდაბლობას, კოლექტივიზმს, თავაზიანობას, გულისხმიერ დამოკიდებულებას ადამიანებისადმი, სიფაქიზეს, დახვეწილ ესთეტიკურ გემოვნებას.

ჩემი აზრი დიმიტრი კანანაძის შესახებ ამხანაგებს გავუზიარე. ისინი დამეთანხმნენ ჩემს შეხედულებებში, დოცენტმა ქ. უსეინაშვილმა კი აღნიშნა, რომ დიმიტრის მშობლებს 6 შვილი ჰყავთ და ყველანი მოწინავე ახალგაზრდები არიანო.

უსეინაშვილის ნათქვამმა დამაინტერესა. გადავწყვიტე გავცნობოდი კანანაძეების ოჯახს, მათ ცხოვრებას. მაგრამ მალე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გადამიყვანეს სამუშაოდ და ეს საკითხიც დავიწყებას მიეცა.

სამედიცინო ინსტიტუტში ფილოსოფიის კათედრის სხდომაზე მე დამევალა სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობა. რადგან სამეცნიერო წრეში მოზიდული უნდა ყოფილიყო სტუდენტთა მოწინავე ნაწილი, მივმართე კათედრის წევრებს დახმარებისათვის. სამეცნიერო წრეში სამუშაოდ დოცენტმა ვლ. სიფრაშვილმა დამისახელა სამკურნალო ფაკულტეტის III კურსის რამდენიმე სტუდენტი და მათ შორის მზიური კანანაძე.

ამ გვარის ხსენებაზე ჩემს მეხსიერებაში აღსდგა დიმიტრის სახე და პირველი შეხვედრისთანავე მზიურის შევეკითხე, ხომ არაფერი იყო მისი დიმიტრი კანანაძე.



დიმიტრი



ვასილი

— დიმიტრი ჩემი ძმაა, — მიპასუხა მზიურიმ.

მეორე წელს სამკურნალო ფაკულტეტის IV კურსთან მომიხდა მუშაობა. მზიური ახლოს გავიცანი. იგი აღმოჩნდა დიმიტრის ღირსეული და. როგორც წყლის ორი წვეთი, ისე ჰგავს და-ძმა ერთმანეთს. შრომისმოყვარეობა, დისციპლინა, მოკრძალება, ცოდნის წყურვილი, გონიერება, მომხიბლავი გარეგნობა — მზიურის დამახასიათებელი თვისებებია. ამასთან ერთად მზიური პოეტური ნიჭითაც არის დაჯილდოებული. და-ძმის ასეთი მსგავსება და მათში ამდენი დადებითი თვისებების ჩამოყალიბება მათ სწორ აღზრდაზე მიგვითითებს. ყურადღების ცენტრში დადგა კანანაძეების მშობლების ვინაობის, მათი ცხოვრების შესწავლა.

მზიურისა და დიმიტრის მშობლები ბაბულია ტატულიშვილი და გიორგი კანანაძე, განათლებით პედაგოგები, ყვარლის რაიონის მკვიდრნი არიან. ბაბულია და გიორგი ერთმანეთს შეხვდნენ ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის საშუალო სკოლაში, სადაც გიორგი სკოლის დირექტორად იყო, ბაბულია კი ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლად. აქ ისინი შეუღლდნენ. გიორგი მუშაობდა ყვარლის რაიონის სხვადასხვა სკოლაში, ხოლო შემდეგ კი ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ.

1944 წელს გიორგი გაგზავნეს მთისძირის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ხოლო ბაბულია იმავე სოფლის 8-წლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ და ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლად. 1956 წელს გიორგი ყვარლის რაიაღმასკომში გადაიყვანეს, ხოლო მისი უფროსი შვილი ბადრი, რომელმაც საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა, მთისძირის კოლმეურნეობაში დარჩა სამუშაოდ.

კეთილსინდისიერი შრომით და ადამიანობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრიმ საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ახალი საქმის წამოწყებისას ბადრის ეკითხებიან და მისგან გონივრულ რჩევას იღებენ. ბადრი პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტიცაა. იგი თავისუფლად ათავსებს უმაღლეს სასწავლებელში სწავლას კოლმეურნეობაში მუშაობასთან. ბადრი, ისევე როგორც მზიური, პოეტური ნიჭით არის დაჯილდოებული.

ოჯახის მეოთხე შვილი თამილა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკა-მექანიკის ფაკულტეტის მოწინავე სტუდენტია; ყველაზე უმცროსები — ვასილი და მარინე ყვარლის საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლეები არიან. მასწავლებლები ხშირად ამბობენ: ჩვენს სკოლას რა ეშველება, როდესაც კანანაძეები სიმწიფის ატესტატს მიიღებენო.

კანანაძეების ოჯახის ცხოვრება მეტად საინტერესოა მით, რომ 6 შვილიდან ყველა მოწინავე და სანიმუშო ყოფაქცევისაა. ეს იმას მოწმობს, რომ მშობლებმა დიდი შრომა გასწიეს ბავშვთა აღზრდის სწორად წარმართვისათვის, მით უფრო, რომ ოჯახში დამხმარე პირი არა ჰყავთ.

ბავშვთა სწორად აღზრდა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი აღზრდა მიიღეს თვითონ მშობლებმა და როგორი აღმზრდელები არიან ისინი. როდესაც ბაბულია ტატულიშვილი ვნახე, მივხვდი, რომ მისი შვილები სხვანაირი არც შეიძლება ყოფილიყვნენ. ეს არის დარბაისელი ქართველი ქალი, რომლის სახეზე აღბეჭდილია მაღალი კულტურა და ადამიანობა. არც ერთი ზედმეტი ჟესტი არაა მის ქცევაში, თვითეული სიტყვა და საქციელი კარგად აქვს მოფიქრებული.

ჩვენი საუბარი შეეხებოდა აღზრდის საკითხებს, თუ როგორ შეძლეს მათ ბავშვებში ამდენი დადებითი თვისებების ჩამოყალიბება. შეუღლების დღიდან ოჯახში შეიქმნა უაღრესად თავაზიანი დამოკიდებულება მეუღლეთა შორის — არა ბატონობა და მორჩილება, არამედ სრული თანასწორობა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, ზრუნვა ბავშვების აღზრდისათვის.

მეუღლეთა ურთიერთობამ, მათმა თავაზიანმა დამოკიდებულებამ სხვებისადმი — ნათესავებისა, მეზობლებისა და ნაცნობ-მეგობრებისადმი — განაპირობეს ბავშვთა ხასიათის ჩამოყალიბება. ბავშვებმა მშობლებისაგან გადმოიღეს ყოფაქცევის კულტურა, თავშეკავება, თავაზიანობა, და ეს თვისებები თანდათანობით მათ ხასიათში განმტკიცდა. მათ არ იციან ერთმანეთის შეურაცხყოფა, ხმის აწევა, ყვირილი, გაბუტვა, მწარე სიტყვა და სხვა. თავშეკავების უნარი მათ ჩვევად ექცათ. ისინი სავსებით ფლობენ საკუთარ თავს და ძნელია მათი წონასწორობიდან გამოყვანა. ბავშვის თითოეული შეცდომა სწორდება მშობლების ახსნა-განმარტებით, დამაჯერებელი საუბრებით.

კანანაძეების ბავშვთა აღზრდაში გადამწყვეტი როლი ითამაშა შრომითი ჩვევების გამომუშავებამ. ბავშვებს ადრიდანვე აჩვევდნენ თვითმომსახურებას, სიფაქიზეს, გარკვეულ ასაკის მიღწევისას კი ფიზიკურ და გონებრივ შრომას.

მშობლები, როგორც გონებრივი შრომის მუ-



ბადრი

შაკები, სისტემატურად მუშაობენ წიგნზე, წერენ, კითხულობენ. მათი მაგალითით ბავშვებიც წიგნს ეტანებიან. მაგრამ წიგნზე მუშაობის ჩვევის გამომუშავებას ხელმძღვანელობა სჭირდება. მშობლები ამოწმებენ ბავშვების მიერ სასკოლო დავალებების შესრულებას, ურჩევენ წასაკითხს მათი ასაკისა და ცოდნის შესაბამისად, ასწავლიან წიგნის მოვლას. ბაბულია ტატულიშვილი, როგორც დედა და მასწავლებელი, მომთხოვნია. სკოლაში შვილებს მკაცრად ექცევა, მოითხოვს მათგან მეტ შრომას, მეტ დისციპლინას, რომ პედაგოგის შვილები მაგალითის მაჩვენებლები იყვნენ.

კანანაძეები არ ეკუთვნიან იმ მშობელთა რიცხვს, რომლებიც შვილებს ანებივრებენ, უყურადღებოდ სტოვებენ, გონებრივი შრომით გადატვირთავენ და ფიზიკურ შრომას არიდებენ.

ბავშვები მუშაობენ ბაღში, მონაწილეობას იღებენ შინაური პირუტყვის მოვლაში, ოჯახურ საქმიანობაში, უმცროსებზე ზრუნვაში, ხოლო გარკვეული ასაკის მიღწევისას შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე. ამიტომ იყო, რომ ბადრი საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ საკოლმეურნეო შრომაში ჩაება და კარგი სახელიც დაიმსახურა. ასევე მოიქცა დიმიტრი. მან წარჩინებით დაამთავრა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის სავეტერინარო ფაკულტეტი და თავის მშობლიურ მხარეს მიაშურა, კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა.

დიმიტრიმ კვლავ გამოავლინა თავისი ხალასი ნიჭი და სერიოზული მომზადება ასპირანტურაში მისაღები გამოცდების დროს. ვიმედოვნებთ, რომ დიმიტრის მუშაობა სამეცნიერო ხაზითაც მისაბაძი იქნება.

კანანაძეების ოჯახში შრომაც იციან და დასვენებაც. ოჯახის თითოეული წევრი ანგარიშს აბარებს თავის თავს, თუ რა გააკეთა მან მთელი დღის განმავლობაში. ხოლო ნაყოფიერი შრომის შემდეგ, როდესაც ოჯახის წევრები დასასვენებლად შეიკრიბებიან, ხდება აზრთა ურთიერთგაზიარება. აქ უშინაარსო ლაყბობა კი არ არის, არამედ წაკითხულის, ნახულის, განცდილის, შექმნილის, წარმატებისა თუ წარუმატებლობის შესახებ ლაპარაკი. კანანაძეების ოჯახის წევრები პოეტური და მუსიკალური ნიჭით არიან დაჯილდოებულნი. თითქოს ბუნებას სავსე კალთა მათზე დაუბერტყავს. ოჯახში შექმნილია სიმღერის გუნდი სიმებიანი ორკესტრის თანხლებით. ფორტეპიანოზე, გიტარაზე, მანდოლინაზე დამკვრელები და მომღერლები ისეთ ანსამბლს ქმნიან, რომ პროფესიონალურ მომღერალთა გუნდსაც კი შეშურდებოდა.

ასეთი ოჯახი მისაბაძი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც სურს, რომ წესიერი შვილები, ღირსეული მოქალაქეები აღზარდოს.

**პასიკო არევაძე**



თამილა (შუაში)



მზიური (შუაში)
მარინე (მარცხნივ)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარ ჩხაიძე



პირველად ესტრადაზე გამოვიდა. უმთავრესად ბოშურ რომანსებს და ლირიულ მელოდიებს მღეროდა თამარ გურულის ფსევდონიმით.

...და ერთ მშვენიერ დღეს, თითქოს დაესიზმრაო, პატარა სასიმღერო ლექსის დაწერა მოუხდა. ლექსის მაგივრად პროზა გამოუვიდა, მაგრამ ისიც მელოდიური, რიტმული.

მოულოდნელ ტალღასავით მოაწვა ბავშვთა სახეები, ფრინველები, ყვავილები, ნივთები. მომავალ საბავშვო მწერალს პირველად თოჯინები შემოესია. მათ თითქმის აჯანყება მოუწყეს-ჩვენზე დაწერეო. და მალე 1949-1950 წელს გამართულ საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებთა კონკურსში მისმა „თოჯინების აჯანყებამ“ მოწონება დაიმსახურა. ეს იყო პირველი მოთხრობა, რომელმაც საბავშვო მწერლის სახელი დაუმკვიდრა თამარ ჩხაიძეს.

გაგახსენოთ ამ მშვენიერი მოთხრობის სიუჟეტი? მაგრამ რა საჭიროა, — ჰკითხეთ თქვენს პატარებს, ისინი აღფრთოვანებით მოგიყვებიან, როგორ აუჯანყდნენ უსულო თოჯინები ომის გამჩაღებელ მისტერ კუკს. „სიკვდილი ომის გამჩაღებლებს! ჩვენ მშვიდობა გვსურს!“ ამ სიტყვებს ქუჩაში მოსიარულე ხალხი აჰყვა: მუშები გაფანტეს, მაგრამ მათი ხმა მთელ მსოფლიოს მოედო. „მშვიდობა გვსურს! მშვიდობა გვსურს!“

აი, ეს დიდი სურვილი მშვიდობისა, სიკეთისა, წყნარი, ბედნიერი ცხოვრებისა, თამარ ჩხაიძის მთელ შემოქმედებას განუყრელად თან სდევს. მისი ბავშვები სულ წინ, მომავლისაკენ იყურებიან და დიად ცხოვრებას შეჰხარიან. მწერალი თავის მკითხველებს, ცქრიალა ბავშვებს, თითქოს მუდამ თან სდევს და მიუთითებს: ჩვენს ქვეყანაში რასაც ინატრებთ, შეგისრულდებათ. ოღონდ მარტო ნატვრა არ კმარა — საჭიროა სწავლა, ბეჯითობა. ეს არის მწერლის მეგობრული რჩევა. აი, ამიტომ უყვართ პატარებს მისი მოთხრობები: „მეაბრეშუმე ნანული“, „ცივწყალა“, „დედაენა“, „სიხარული“, „ნუკრია“ და მრავალი სხვა.

ერთერთ შესანიშნავ მოთხრობად მიგვაჩნია „ქცია“. ესაა თავგადასავალი პატარა თევზისა, რომელსაც შეკითხვები უყვარს. იგი დედას მოსვენებას არ აძლევს, ათას რამეს ეკითხება მშობლიურ მდინარე ქციაზე. ხრამჰესის ელნათურები ვარსკვლავებივით აკიაფდნენ და პატარა ხრამულა თევზმაც მთელი ღამე იმღერა:

„წყალმა ორმო ტბად აქცია,
ნიაღვარმა ტბა წყარო ქციად აქცია,
ხრამებმა ქცია მდინარე ხრამად აქცია,
ქციამ ხრამები ვარსკვლავებად აქცია,
რა ყოფილა ეს ქცია!“

ასე საინტერესოდ მოუთხრო მწერალმა ქალმა პატარებს ხრამჰესის მშენებლობის შესახებ. მწერალს რომ ჰესის მშენებლობა პუბლიცისტურად აღეწერა, მაშინ მისი სილამაზეც დაიკარგებოდა. „ქცია“ კი ცნობილია, როგორც პოეტური და მუსიკალური ზღაპარი...

დიდი ხანი არაა, რაც ნორჩ მკითხველს გამომცემლობა „ნაკადულმა“ მიუძღვნა მშვენივრად დასურათებული მოთხრობა თამარ ჩხაიძისა — „ხატულა“. ვფიქრობთ, შინაარსის მოყოლა ზედმეტია, ოღონდ ავღნიშნავთ, რომ ეს ცოცხლად, წარმტაცად დაწერილი ვრცელი მოთხრობა ბავშვს ასწავლის ნივთების, სათამაშოების ფაქიზად მოვლას, გაფრთხილებას. სწორედ იმითია ძვირფასი მწერალი ქალის მოთხრობები, რომ ისინი აღმზრდელობითი ხასიათისანი არიან, მკითხველს აგრძნობინებენ შრომის ძალას, ცხოვრების სიხარულს, მის მომხიბვლელობას. ამიტომ თამარ ჩხაიძის შემოქმედება მისწრებაა საბავშვო ბაღებისათვის. მაგრამ, გარდა სკოლამდელებისა, ვინც კი ხელში აიღებს მწერალი ქალის წიგნებს, შეუძლებელია ბოლომდე არ ჩაიკითხოს ისინი.

ანა ღვინიაშვილი








ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ გოგუაძე

ორი ნოველა

# შუქი ღამეში

რკინიგზელების უბანში ბინდი ჩამოწვა. ქვის სახლებს შორის წრიპინით დაჰქროდნენ ღამურები.

სასიგნალო ფარანი ავანთე, ჭახუნებიანი ქამარი წელზე შემოვირტყი. ბუკი და ქანჩი ზედ მივიმაგრე და საერთო საცხოვრებლის კარი გამოვიკეტე.

ეზო გადავჭერი და რკინიგზაზე გავედი. ოროთქლმავალი სატვირთო ვაგონებს სადგურისაკენ ქოთქოთით ეწეოდა. საწყობთან პატარა ურიკიდან მუშები რონოდებს სცლიდნენ. ჩია ტანის მეისრე წახრილიყო და ლილინით წმენდდა ისარს. მისალმებაზე არც კი შემოუხედავს, ისე დამიკრა თავი. ის იყო, უკან მოვიტოვე მეისრის ჯიხური, რომ სიმაფორმა მწვანედ გამოანათა. ჩემი ფარნის ყვითელი შუქი თანდათან აჩნდებოდა ჩაშავებულ განძელებს და ნელნელა ირწეოდა.

რკინიგზის გადასარბენზე, გვირაბთან ახლოს, დარაჯისათვის საგანგებოდ აშენებულ, ჩაბნელებულ ქვის პატარა სახლზე ვფიქრობ. მიხაროდა იმ სახლთან ღამით გავლა. იმის სინათლეს შეჩვეული, თავს მარტოდ აღარა ვგრძნობდი. ვიცოდი, ამ სახლის იქით ცოტაღა იყო სავალი. სულ იქითკენ მქონდა გულისყური. ახლა კი, ამ უმთვარო და უვარსკვლავო ღამეში, უსიამოვნო ფიქრები მომეძალნენ.

„პაპიროსი მაინც მქონდეს" — ვფიქრობ და ხელებს ჯიბეში ვაფათურებ, ზოგჯერ ჩარჩენა იცის.

ელმავალმა მოაყვირა. ფარანი მოვიმარჯვე და ლიანდაგებიდან განზე გადავდექი. უცებ ძლიერი ხმაური მოიჭრა. განძელებზე სწრაფად გაცურდა თვალისმომჭრელი სინათლე და არემარე გადაანათა. მძიმე ვაგონების ქვეშ იძვროდა მიწა, ლიანდაგები იზნიქებოდნენ და ლვედებივით ტკაცუნებდნენ. უკანასკნელმა ვაგონმა გაირბინა და ზედ ანთებული წითელი სინათლე თანდათან მიიმალა, მატარებლის ხმაურიც თანდათან მიწყდა და ჭრიჭინების ხმამ დაისადგურა კვლავ. წამით დავიცალე ფიქრებიდან, შვებით ამოვისუნთქე.

მკაფიოდ ისმოდა განძელებზე ჩემი ფეხის ხმა. საიდანღაც თბილ ნიავს ნოტიო ჰაერთან შეზავებული ყვავილების სუნი მოჰქონდა. იგი რაღაც შორეულს მახსენებდა და ხევდაშერეულ სიამოვნებას მგვრიდა.

რკინიგზის ხიდზე სიგრილე იგრძნობოდა. ქვევით მოვარდნილი მდინარე ხმაურით მიექანებოდა თავქვე.

წვიმის რამდენიმე წინწკალი დამეცა ხელზე, მერე მაზუთით გაჟღენთილი განძელების მძაფრი სუნი ავარდა ჰაერში. წვიმის წყალი წურწურით ჩამომდიოდა სახეზე, გიმნასტურაშიც გაატანა.

ქარმა წამოიქროლა. ტელეგრაფის მავთულები ზუზუნებდნენ. ფარნის შუქზე სველი ლიანდაგები ლაპლაპებდა.

მერე წვიმამ სადღაც გადაინაცვლა. გიმნასტურა თანდათან უსიამოვნოდ მეკრობოდა ტანზე. შემაცია. ღამეში საშინელი ჩანდა ქარი. სიბნელეში დავლანდე ჩაძირული გარემო და პატარა სახლის სილუეტი წარმოვიდგინე.

აღარ მინდოდა ჩაბნელებულ სახლზე მეფიქრა. უსიამოვნებას მომგვრიდა. — „ვინ იცის, აქ, ადამიანებმა რა წვალებით გაარღვიეს კლდე და დააგეს ლიანდაგები," — ვფიქრობ და განძელებზე მივაბიჯებ, —„ახლა ერთ ლიანდაგზე მოსიარულე მატარებელიც კი გამოუგონიათ".

ფიქრისაგან თეთრმა ზოლმა გამომარკვია, რომელიც ლიანდაგებს მკვეთდა. „რა უნდა იყოს" — გავიფიქრე და ნაბიჯს მოვუხშირე. „ვიცი, იქ შუქფარი არ უნდა იდგეს. თუ მატარებელია გაჩერებული, — შუქი ძლიერი უნდა იყოს მაშინ". ჩემივე გულის ძგერას ვგრძნობ. სიჩქარისაგან ხანდახან ფეხს ვაცილებ განძელებს. მერე თანდათან წყნარდება ყველაფერი. აღარ ვგრძნობ არც ქარის შრიალს, არც ტანზე მიკრულ სველ გიმნასტურას. თითქოს შეცვლილიყო გარემო: შუქი, რომელიც ლიანდაგებს მკვეთდა, არ იყო მთვარის, არც ვარსკვლავების; პატარა სახლის პატარა სარკმლიდან დიდად გამოკრთოდა იგი.

# ჯებირი

ძეძვით შემოკავებულ ეზოში სიპ ქვაზე იჯდა მოხუცი. ჭილის ქუდი უჩრდილავდა ბრინჯაოსფერ სახეს. ალვის ხესთან ფისით შეწებებული ნავი იყო ჩამხობილი. ჭასთან თავსაფრიანი დედაკაცი ფუსფუსებდა.

ზღვაზე ამოსულ მზის წითელ ბირთვს ულრენდა შავი ნაგაზი.

„დღეს სიცხე იქნება", —გაიფიქრა მოხუცმა და ყალიონს მოუკიდა. რძისფერი კვამლი დნებოდა გამჭვირვალე ჰაერში.

გამხმარ ძეძვებს ოფოფი შეაფრინდა.

ცხენჭოხაზე ამხედრებულ შვილიშვილს დააკვირდა. ღიმილი მოეფინა დაღარულ სახეზე. მერე რაღაც გაახსენდა, გამხედა სარკესავით მოკრიალებულ ზღვის ზედაპირს. თანდათან მოეღრუბლა თვალები.

„ამ ტიალმა ზოგჯერ რანაირი აწყვეტა იცის, — ფიქრობდა იგი, — რასაც გადაუვლის, ისე წაშლის, თითქოს აღარაფერი ყოფილიყოს, იმ ადგილას. ვინ იცის, იქნებ ოდესღაც მოსახლეც კი იყო იქ"! —და იმ ადგილს დაჟინებით მიაჩერდა, სადაც მზის სხივებზე მოელვარე გემი ნაკვალევს იტოვებდა უკან.

მოხუცმა ქუდი ჩამოიწია სახეზე. თვალები მოავლო ეზოს. ძეძვებს იქით ზღვის ხილა იწყებოდა უკვე. ახსოვს: იქ, ფართო შარაზე, ჩარდახიანი ურმები დადიოდნენ. მასაც ჰქონდა დიდი ეზო, ნელნელა წაჰგლიჯა ზღვამ იგი; და მოხუცმა ღრმად შეისუნთქა თამბაქოს კვამლი. ახალგაზრდობაში არ უფიქრია ამაზე. ეს ერთი ხანია, რაც აეკვიატა ამაზე ფიქრი და მოსვენებას არ აძლევს.

უფრო და უფრო მაღლა იწევდა მზე. ნაგაზი ძეძვის ძირში მიგდებულიყო. ენა გადმოეგდო, ხშირად სუნთქავდა.

გვიან ღამით ჩაეძინა ფიქრებით დაქანცულ მოხუცს. სიზმარი ნახა: მისი სახლის ირგვლივ ამღვრეული ზღვა იყო მხოლოდ. აღარსად ჩანდა მიწა. ტალღები ლამობდნენ ჭიშკართან დარგული პალმის მოგლეჯას. შვილიშვილის სახელზე დაერგა პალმა, გულზე შემოეყარა.

გამოეღვიძა. ჯერ კიდევ არ შემოსცლოდა ბინდი პატარა სარკმელს. ნაგაზი გაბმულად ყეფდა. მანქანების გუგუნი შემოდიოდა ეზოში.

მოხუცმა ფაციფუცით გადაიცვა ტანზე. არავის გაუგია, ისე გავიდა სახლიდან. ნამით დაცვარულ ბალახებზე მიაბიჯებდა, ცრემლიან თვალებს გზადაგზა იწმენდდა, მზე ჯერ კიდევ არ ჩანდა ზღვაზე, ცივი და ნოტიო ნიავი მოდიოდა იქიდან.

ქინაქინის ხეებს გასცდა. ბიჭები ქვებს სცლიდნენ მანქანებიდან.

— ბაბუ, ჯებირი უნდა ავაგოთ —მისვლისთანავე გადმოსძახა შავტუხა ბიჭმა.

— ღმერთმა გაცოცხლოთ, შვილებო! — გულის სიღრმიდან აღმოხდა მოხუცს.

მზემ წითლად გამოანათა. მაგნოლიის ფოთლებზე გამდნარი ვერცხლი ჩამოღვარულილიყო თითქოს. მეთევზეების ომახიანი სიმღერა მოდიოდა ზღვიდან.

შინისკენ მიიჩქაროდა მოხუცი, მზის სხივებზე უციმციმებდა ლურჯი თვალები.

9253



ასპაზია—მედეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცი ათას ხუთასი წლის შემდეგ დაგვიბრუნდა ქართველი ქალის უპირველესი წინაპარი. შორეულ წარსულში „დაკარგულმა“ მედეამ, ახალი ძალით შეგვახსენა თავისი ტრაგიკული ისტორია და ამით თითქოს პატიებაც გვთხოვა მეოცე საუკუნის ქართველებს.

გასულ წელს თბილისს ბერძნული ტრაგედიის თეატრი ეწვია. გასტროლები „მედეას“ წარმოდგენით დაიწყო და ამას ჰქონდა თავისი ლოგიკა: ჰომეროსის ქვეყნის შვილები მედეას სამშობლოში მოვიდნენ. ისინი ოქროს საწმისს არ მოუყვანია ჩვენთან. მათ ჰუმანური მიზნები ამოძრავებდათ.

და ჩვენ ვნახეთ ამ მიზნების სცენური ხორცშესხმა. რამპის იქით გადაიშალა შთამაგონებელი სანახაობა. აკლდამისმაგვარ უფსკრულიდან, თითქოს საუკუნეთა მიღმიდან მედეას მონუმენტური სახე წამოიმართა.

ასპაზია პაპატანასიუ! გაოცებული შევყურებდი. — ნუთუ ესაა ასპაზია, რომელიც გუშინ მარჯანიშვილის თეატრში ვნახე?! („მედეას“ ესწრებოდა). მისი ხუსტი, ფერმკრთალი სახე ახლა რაღაც მაგიური ძალით ამეტყველებულიყო. სცენაზე იდგა ამაყი და დიდბუნოვანი. იდგა მაღალი და მშვენიერი. ასე სცოდნია ხალას ნიჭს, ძლიერ ტემპერამენტსა და სავსე გულს.

ტრაგედია დაიწყო. ქართველმა აუდიტორიამ სიბრალულით მოისმინა სამშობლოსმოწყვეტილი ქალის მწუხარე თავგადასავალი. ასპაზიამ პირველ სურათიდანვე გვაგრძნობინა თავისი გმირის ტკივილი.

ასპაზია-მედეა სცენის სიღრმიდან მოუწოდებს ღმერთებს ისმინონ მისი ჩივილი. შემდეგ გამოდის მოედნის ცენტრში. დროდადრო უზომო ტანჯვისა და მწუხარების შეძახილი აღმოხდება ხოლმე. იგი მიატოვა იაზონმა, სხვაში გასცვალა კოლხელი ქალი. ბედისამარა დარჩა უცხო ცის ქვეშ მედეა. რომელი ერთი იგლოვოს ახლა: დაკარგული სიყვარული, მიტოვებული სამშობლო, თუ შეურაცხყოფილი გრძნობა. ათასი ფიქრი, ათასი განცდა სტანჯავს მის სულს.

ამ უმძაფრესი მწუხარების ჟამს იგი უხმობს სიბრძნის ძალას. მხოლოდ ერთ დღეს თხოვს კრეონს.

იწყება შურისძიების თემა. ქალს თანდათან ემატება სულიერი სიმხნევე და ნებისყოფის ძალა. იგი საწამლავით მოაშთობს იაზონის სატრფოსა და მის მამას. მერე, თითქოს ტრაგედია დამთავრდაო, წამიერად ისე დამშვიდდება პაპატანასიუ. მაგრამ ესაა სამშვიდე ქარიშხლის წინ. მედეას მოაგონდა, რომ იაზონის სატრფოს ოჯახი დაღუპავს მის ბავშვებს. მოაგონდა და შეკრთა. მან უცებ წარმოიდგინა მთელი ის საშინელება, რაც ბავშვებს ელოდა. მხოლოდ ერთი გზა იყო დარჩენილი, — გზა შემზარავი და ტრაგიკული. ასპაზია გაჰყვა ამ გზას: მედეამ დახოცა თავისი შვილები. მტერს არ დაანება ისინი ცოცხლად.

მედეას წამალი მისთვის ხსნაც იყო და საბედისწეროც. ტრაგიკულ კოლიზიებში გაიხლართა იგი. ამ მომენტშიაც გამოჩნდა ასპაზიას გმირის ორმაგი ბუნება. მედეა წარმოსდგა, როგორც ერთგვარი სიმბოლური სახე იმ კოლხეთისა, რომელიც საკუთარი სილამაზის მსხვერპლი გახდა.

ასპაზია დიდი ტრაგიკოსი ქალია. მისი ფართო, აქტიორული დიაპაზონი, პლასტიკური მოძრაობა, ამაღლებულობის გრძნობა და სულიერი მონუმენტურობა ბუნებრივად შეერწყა მედეას სახეს. მის შესრულებაში იყო სცენები, როცა ვერ გაარკვევდით, თუ სად შორდებოდა ერთმანეთს მსახიობი და როლი. და განა ასეთი არ იყო სცენა ქოროს მიერ მედეას დატირებისა?

...ასპაზია-მედეა მწუხარე ქანდაკებასავით დგას ქოროსაგან შეკრულ წრეში. ქორო დასტირის ბავშვებს და თან როკავს განსაცვიფრებელ პლასტიკურ ხაზებში, წარმოსთქვამს მწუხარე საგალობელს. სიმწრით მოთქვამს მთელი ქორო. და ამ გოდებაში ისმის ძველი კოლხური ზარის ტრაგიკული მელოდიები. ამ დრტვინვაში ისმის მთელი ხალხის ხმა. თითქოს მათ არსებობაში ჩასახლებულია მედეას მწუხარება. თითქოს რამდენი ქორეოგრაფიაა, იმდენი მიტოვებული მეუღლეა, იმდენი ტრაგიკული ბედის დედაა ასპაზიას გმირის ირგვლივ თავშეყრილი. ამ ფონზე გამორჩეული მშვენიერებით სდგას პაპატანასიუ და თავისი ძლიერი ხმით შურისძიებისაკენ მოუხმობს ქალთა სქესს.

ასპაზიას ხმის სიძლიერე, მისი ინტონაციების ფორმების სიუხვე, ლირიზმიდან ტრაგიკულ მრისხანებამდე ამაღლებული პათოსი საოცრად შვენოდა ასპაზიას აქტიორულ პროფილს.

ბერძენი მსახობი დიდებული იყო ქართველი ქალის როლში. მსოფლიო თეატრის სცენაზე ასე ძლიერად იშვიათად წამოუდგენიათ ქართველი ქალის ბედი. პარალელისათვის აქ მხოლოდ დიდი რუსი მსახიობის, ერმოლოვას მაგალითი თუ გამოდგება. კ. მესხმა ასე მიმართა ერმოლოვას იუბილეზე: „თქვენ ერთადერთი რუსი ქალი ხართ, რომელიც იტანჯებოდით, როგორც ქართველი დედა... აი, ამ ტანჯვისათვის მოწიწებით სალამს გიძღვნით“. შეიძლება იგივე ვუთხრათ ბერძენ მსახიობსაც ესოდენ დიდი სიყვარული რომ ჩააქსოვა ქართველი ქალის ტრაგიკული სულის გამოვლენას.

სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიებში ასპაზიამ ახლებურად წაიკითხა მედეასა და ელექტრას სახეები. მან მოწამე გაგვხადა არა მარტო ანტიკური პლასტიკის აღორძინებისა, არა მარტო „უმშვენიერესად გადაგვიშალა“ კაცობრიობის საუკეთესო ბავშვობის მართალი და ტრაგიკული სული, არამედ თანამედროვენიც შეგვაფიქრიანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი გმირების ბედით. მან მედეასა და ელექტრას საშუალებით რაღაც უხილავი შინაგანი კონტაქტი დაამყარა წარსულსა და ატომურ საუკუნეს შორის. დიდებულად გახსნა კლასიკური ელადის აქტიორული სამყარო, დაგვანახა ძველბერძნული „თეატრონის“ სილამაზე. ასპაზიას შესრულებაში შეიცნობა ახალიცა და ტრადიციულიც. მაგრამ მათ აერთებს მარადიული თვისება ჭეშმარიტი ხელოვნებისა. ეს არის სიმართლის გრძნობა, მისი ბუნებრივი განცდა.

სულიერი გმირობისა და პოეტური მომხიბვლელობის ის ნაღვილანი თავგადასავალი, რომელიც მედეასა და ელექტრას ცხოვრებაში აისახა, ორგანულად იგრძნო და გამოხატა ბერძენმა მსახიობმა. მის შესრულებაში ერთმანეთს ერწყმის ლირიკული და ეპიური, ისე, როგორც სულიერი გმირობა და ადამიანური სისუსტე ბერძნულ ტრაგედიებში.

ასპაზიამ იცის სცენაზე მჭექარე ხმისა და ჩურჩულის ფასიც. მის შესრულებაში როგორც ლეიტმოტივი ისე გასდევს ტრაგიკული გოდებიდან უნაზეს ჩურჩულისაკენ დაშვებისა და შემდეგ ისევე ტრაგიკულისაკენ ამაღლების მოტივი. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი საშუალება გმირის სულიერი ტკივილების გამოსახატავად. ასპაზიას ელექტრას როლში ჰქონდა ერთი მომენტი, როცა იგი „ცრემლად დაიღვარა“ ისე, რომ არსად არ შეუცვლია რიტმი, ტონი, არ უძებნია განსხვავებული ინტონაციები და მაინც ეს იყო შემზარავი სანახაობა. ასპაზია დასტიროდა ურნას. ეს იყო დაღუპული ძმის ორესტეს გლოვა.

ასპაზია ნამდვილი ბერძენი მსახიობია. ამაშია მისი უპირველესი ღირსებაც. იგი ჩინებულად გრძნობს თავის სამშობლოს თეატრალურ ტრადიციებს. ეს აღრმავებს და ამდიდრებს დიდი მსახიობის შემოქმედებას. ამ გზით მიაღწია მან საყოველთაო აღიარებას.

ქართველ მაყურებელს ბევრი უნახავს დიდი ხელოვანი, უნახავს მსოფლიოში სახელგანთქმული მსახიობები. ამას გარდა, ქართული თეატრი თავად არის მდიდარი სცენის დიდოსტატებით, და მაინც ასპაზიამ შეძლო თბილისელთა მოხიბვლა. ეს მან გაკეთა თავისი ხალასი ნიჭით, ღრმა განცდის ძალით.

„მსოფლიო სცენას“ ჰყავს თავისი დიდოსტატები. ისინი ეროვნული ნიადაგიდან ამოიზარდნენ, მაგრამ კაცობრიობას უძღვნეს თავიანთი ხელოვნება. ასეთია ასპაზიას შემოქმედებაც. მან დიდი ადამიანის ტრაგიკული გოდებით მოიარა მსოფლიო სცენა და ათი ათასობით მაყურებელს მიანიჭა ესთეტიკური სიამოვნება.

ასპაზია პაპატანასიუ ჩვენი თანამედროვეობის საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლი ქალია. იგი მეოცე საუკუნის თეატრალური სამყაროს მშვენებაა.

ვასილ კიკნაძე

## კაპიტალის სამყაროში

მოჰაჯედ დილმაყანი

# ვერცხლის ფული

მოთხრობა

მხატვარი ნანა მესხიძე

რიყრაყია. პირქუში ღრუბელი შავად დასწოლია ქალაქს; მთელი ღამე შხაპუნებდა წვიმა, მხოლოდ ორიოდ საათის წინ მიწყდა. ხვილია ნაწვიმარი ქვაფენილი; ჩამორეცხილ სახურავებზე დაგროვილი წყალი საწვიმარ მილებში მოწვეთავს...

ქალაქი თვალს იფშვნეტს... მანქანების საყვირის ხმა გაუბედავად კანკალებს ნოტიო ჰაერში...

ქუჩაში თხუთმეტიოდე წლის ბიჭი გამოჩნდა. ზოლიანი, დაგლეჯილი შარვალი აცვია და რუხი ფერის, გაცრეცილი პიჯაკი. გათოშილი ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაუწყვია. წყლით გაჟღენთილ წაღებს ზანტად მიათრატუნებს.

ბიჭს არა აქვს არც ხელობა არც მუდმივი სამუშაო. და მაინც, ასეთ დღეებში, როცა წვიმა წყდება და ცა გამოდარებას აპირებს, მას საქმე უჩნდება... საამისოდ კი მარჯვე ადგილის შერჩევაა საჭირო. დღეს ეზეგარეშეა, ხეირი და წყალობა არ მოაკლდება.

ბიჭი მოჰბერ ედ-დოულეს მოედნისაკენ გაემართა. იქ ყოველთვის ჩერდებიან შამირანიდან წამოსული მანქანები; მერე და, რარიგ იქნებიან ტალახში ამოსვრილი! იქნებ შამირანში თოვდა კიდეც! შეუძლებელია შოფრებს საიდი არ დასჭირდეთ. ისიც შეასრულებს თავის მოვალეობას: მანქანას მტვერსა და ტალახს მოაშორებს. აღებული ფულით კი ლაზათიანად გამოძღება.

უეცრად მხარზე ხელის შეხება იგრძნო. მობრუნდა:

— სოღრა, შენა? როგორ არის საქმე?

სოღრას რეზინის ღეჭვა არ შეუწყვეტია, ისე გამოაჩინა თეთრი კბილები.

გოგონას ცამეტ წელზე მეტს არ მისცემდით; გრძელი, წაბლისფერი ნაწნავები მწვანე, ძველისძველ შარფში მოემწყვდია. ფეხები დახეულ ჩექმებში ჩაეყო. ხელში ლატარიის ბილეთების დასტა ჩაებღუჯა.

ერთხანს მდუმარედ მიდიოდნენ. მერე სოღრამ იკითხა:

— საით?

— მოჰბერ ედ-დოულეს მოედნისაკენ. იქ ახლა, მოგეცა ლხენა, მანქანები იქნებიან! ფულიანებმა თუ არ იძუნწეს, იქნება ავიდო კაპიკები!

—მო-ო-ო—დღეს შენ უეჭველად გეწვევა ბედი... მე კი... ვინ რა თავში იხლის ასეთ ამინდში ლატარიის ბილეთებს!

—სოღრა, ჩვარი ხომ არა გაქვს? ეს აღარ ვარგა; დახე, ბინძურიც არის და დაგლეჯილიც...

სოღრამ უგულოდ დახედა ჩვარს:

— სოღრაჯან, დღეს თუ ვიხეირე, ხვალ პარასკევია და ქალაქის პარკში გავიაროთ. იქ ნამცხვარს გიყიდი.

— მართლა? მაშინდელივით ხომ არ მომატყუებ?

— მაშინ ფული პოლიციელმა წამართვა. აი, ის უნამუსო, ისა! ცილიც რომ დამწამა: მოიპარეო. მამაძაღლი!— გადააფურთხა აღშფოთებულმა ბიჭმა.

სტამბოლის გზაჯვარედინზე შედგნენ. საიდმა ხელი მოედნისაკენ გაიშვირა და ჰკითხა:

— აქეთ არ წამოხვალ?

— არა, იქით...

— მაშ, სოღრაჯან, შუადღისას მომაკითხე.

— კარგი. ნახვამდის.

— ჭირჭერობით.

საიდმა ნაბიჯს აუჩქარა. დღეს ღმერთი შეეწევა და ლუკმა-პურის ფულს იშოვის.

იმაზე ფიქრი, რომ ხვალ სოღრასთან ერთად გაისეირნებს და ნამცხვრით პირს ჩაიტკბარუნებენ, კიდევ უფრო მეტ სიხარულსა ჰგვრიდა.

ბავშვების ბედი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს: საიდას ადრე გარდაეცვალა მამა. დედა კი ახალი ბედის ძებნისას პირველსავე შემხვედრს მისთხოვდა. საიდი უნებლიედ მოშორდა სახლს და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო. აი, უკვე მერამდენე წელია ნათესავებსა თუ ახლობლებს აზრადაც არ მოსვლიათ ბიჭის გახსენება.

არც სოღრანს ანებივრებდა ბედი: მამამისი—ლოთი, გულქვა და უკეთური კაცი, სცემდა და აწამებდა ცოლს, იმ ზომამდე, რომ ქალი ჭკუაზე შეირყა. მერე წა-



იყვნეს საავადმყოფოში და ღვთის ანაბარად დატოვეს... შიმშილით რომ სული არ ამოხდომოდა, გოგონა ლატარიის ბილეთებს ჰყიდდა, ზოგჯერ ხელმრუდობასაც არ ერიდებოდა.

დედამიწის ზურგზე ამ ორ პატარა არსებას ძეხორციელი არ გააჩნდა, დაუახლოვდნენ და შეეთვისნენ ერთმანეთს. გაუთავებელმა ცემა-ტყეპამ, უმსგავსო შფოთმა და დავიდარაბამ ვერც მათი გაგულისება შეძლო და ვერც დაშორება.

...ამასობაში საიდი მოედანს მიუახლოვდა. იქ გრძელ რიგად ჩამწკრივებულიყვნენ სხვადასხვა მარკის ავტომანქანები.

საიდმა ერთერთი მანქანა ამოიღო მიზანში, ჩვარი მოიმარჯვა და გაყინული ხელებით ფანჯრის წმენდა დაიწყო. მისთვის ეს ძველი ხილი იყო და კარგად ნაცნობიც: დღის განმავლობაში ბიჭი მრავალი მანქანის საფეხურზე ასულა და მტვერი და ტალახი მოუშორებია. შოფრები თუ აძლევდნენ და ნებას მისცემდნენ, — გააკრიალებდა მანქანის კაპოტს, ძარასა და ბუფერსაც კი.

ნაირ-ნაირი ხასიათისა და განწყობილების მუშტარი ჰყავდა ბიჭს: ზოგიერთი უმალვე აუკრავდა გუდანაბადს:

— თავიდან დაგვეკარგე, გაწმენდა არ უნდა და რას გვეძალები.

ზოგი ხმაამოუღებლივ იღებდა საიდის სამსახურს; შემდეგ კი დასძრავდნენ მანქანებს და მადლობის მაგიერ ორ ცარიელ სიტყვას სტოვებდნენ:

— ჩვენზე იყოსო.

ზოგჯერ შოფრები თვითონვე გაუჩენდნენ საქმეს. წასვლისას ხელში შეაჩეჩებდნენ რამდენიმე მანეთიანს, ხან ხუთ რიალს. ზოგჯერ თუმნიანსაც კი.

ის არასოდეს არ ითვლიდა ფულს, მადლობის თქმას კი არ ივიწყებდა:

— გიშველოს ღმერთმა და ბარაქა გემატოს!

კვლავ ჟინჟღლვა დაიწყო. ცივი წვეთები ადვილად ატანდნენ გაცრეცილ პიჯაკში: ხტოდა და კანკალებდა ბიჭი. წაღებში კვლავ ჩაუდგა წყალი, ფეხის თითები გაეყინა.

ანაზდად საიდანღაც წითელი „ჯიპი" გამოხტა. შოფერმა ზედ შუა მოედანზე დაამუხრუჭა. საიდი მივარდა მანქანას, საფეხურზე შეხტა და მუშაობას შეუდგა. მანქანის უკანა სავარძელში ლამაზ ქალსა და მდიდრულად ჩაცმულ მამაკაცს მოჰკრა თვალი. შოფერს კისერი მოებრუნებინა და გულინად აცინებდა მგზავრებს. საქმეში გართული საიდი დროდადრო თუ ჩახედავდა ხოლმე მათ.

მოულოდნელად პოლიციელის სასტვენის ხმა გაისმა. შუქფარზე მწვანე ნიშანი გაჩნდა; მოედანზე მყოფი მანქანები ამოძრავდნენ. საიდმა მკვირცხლად ისკუპა მიწაზე, მაგრამ, სწორედ ამ დროს, უზარმაზარი სატვირთო მანქანა ეძგერა, მოცელა და წინ გასტყორცნა. „ჯიპის" შოფერმა უანგარიშოდ ჩართო გაზი. მანქანა ადგილიდან დასძრა, უკანა თვლები ფეხებზე შეაყენა წაქცეულ ბიჭს. საიდმა შეჰკივლა და ცნობა დაჰკარგა. — „ჯიპმა" კუთხეში შეუხვია და გაუჩინარდა.

წაქცეულთან ხალხი შეგროვდა. ბიჭს ფეხები გასრესოდა, გაჩეხილი თავიდან სისხლი სდიოდა და პირიდან გამონადენ ქაფიან სითხეს ურთდებოდა... სისხლიან ლომხალში თეთრად გამოკრთოდა დამტვრეული ფეხების ძვლები...

რამდენიმე ხნის შემდეგ ბიჭმა თვალი გაახილა, შეშფოთებით მიმოატარა ირგვლივ. ბრბოში ერთი ნაცნობი სახეც არ ერია. ჩუმად და საბრალოდ დაიკვნესა. მკერდი მძიმედ ებერებოდა. პირი ღია დარჩენოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა. სახეზე მიტკლის ფერი ედო. ერთმა გამყიდველმა წყლიანი ტოლჩა მოუტანა ტუჩებთან და უთხრა:

— მოსვი, არაფერია, ცოტა შეშინდი... მალე კარგად იქნება საქმე.

საიდმა ძლივს ჩაყლაპა რამდენიმე წვეთი. სახე მოეღრუბლა.

ირგვლივ კვლავ მატულობდა ცნობისმოყვარეთა გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიციელი გამყვიროდა, მაგრამ ვერ ახერხებდა ხალხის დაშლას.

დარიბულად ჩაცმული ჭუჭა მამაკაცი იქვე მყოფ ხმელხმელ სტუდენტს მიუბრუნდა:

— ამას აღარ უჩანს საქქარო პირი! მაგრამ შოფერი, — შოფერი რაღა იქნა?

მსუქანმა, სახედამანჭულმა ქალმა ჩადრი შეისწორა და სტუდენტის მაგიერ უპასუხა:

— ფოშერი? გაიქცა! რომც არ გაქცეულიყო, განა რამეს შეცვლიდა მისი აქ ყოფნა?.. მას რა უჭირს, ბრალი მისი, ვინც კვდება!.. შეხედე, როგორ მოთქრიალებს სისხლი...

ჭგუფიდან ვიღაც ჩალმიანმა გამოჰყო თავი, ლოცვა წაიბუტბუტა და ისევ გაჰქრა.

საიდს ახლა ორი მოწაფე მიუახლოვდა; შეათვალიერა წაქცეული ბიჭი და იქვე გაჩერდნენ.

ფერუმარილში თავვივით ამოვლებულმა უჩადრო მანდილოსანმა გვერდით მდგარ უმაწვილს ჰკითხა:

— რაღას უცდიან, რატომ არ მიჰყავთ საავადმყოფოში?

უმაწვილმა უაზროდ აიჩეჩა მხრები:

— რა საჭიროა. სულერთია მოკვდება.

ანაზდად სივრცეში ლაღი და წკრიალა ხმა გაისმა:

— ორ თუმნად 25 ათასი თუმნის მოგება; ხვალ კი ჩეჩქი და ხვავი ფულებისა!

ხმა ახლოვდებოდა, მაგრამ მისთვის არავის ეცალა, საიდის თავი ახალგაზრდა გამყიდველს ეჭირა ხელში, სწორედ იმას, რომელმაც წყალი დაალევინა.

საიდის ჩაფერფლილ თვალებს გამომეტყველება შესცვლოდა. უპეები ჩალურჯებოდა, ლოყაზე სისხლი მოჟონავდა... ბიჭს ჯიბეში ჩარჩენოდა მარჯვენა და ვეღარ ახერხებდა ამოღებას. ახალგაზრდა გამყიდველი შეეშველა ხელის განთავისუფლებაში;

ამასობაში სოღრა ბრბოსაკენ წამოვიდა, გასწი-გამოსწია ხალხი და წრეში შევიდა.

სოღრას დანახვაზე ბიჭის ჩავარდნილ თვალში სიხარულის ნაპერწკლებმა გაკვესეს. გალურჯებულ ტუჩებზე რაღაც ღიმილის მაგვარი დაეტყო. ძლივს იხილა ერთადერთი ნაცნობი სახე. ახლა დამშვიდებით მოკვდება: მასზე ახლობელი ვინა ჰყავდა დედამიწის ზურგზე?

სოღრამ იგრძნო, რომ საიდმა იცნო იგი. თვალცრემლიანმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და დაიხარა.

საიდმა ძლივს გაშალა მოკუმული მუშტი, სოღრას სუსტ ხელისგულზე ვერცხლის ფული დაუდო.

მერე ძლივს გასაგონად წაილუღლუღა:

— სოღრაჯან... იყ... იყიდე... ნამცხვარი...

თითქოს უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ ვერ მოახერხა.

თვალები გაუფართოვდა, სუნთქვა შეუწყდა. ხელი კი ისევ ისე დარჩენოდა გაშლილი...

საიდის თავი უსულოდ დავარდა გოგონას მუხლებთან.

სპარსულიდან თარგმნა
მზია ივანიშვილმა.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## „ჩვენ ვუნდერკინდები არა ვართ"

— ჩვენ ვუნდერკინდები არა ვართ! — რომ შეეძლოთ სინანულით გვეტყოდა ჩვენი ციცქნა ბავშვების გარკვეული ნაწილი. ვაი, რომ არ შეუძლიათ, ისინი ამისათვის ძალიან პატარები არიან. მათ სიტყვა „ვუნდერკინდი" —საოცარი უნიჭიერესი ბავშვი, — არც გაუგიათ. ვფიქრობთ, არც მათი მშობლები და, განსაკუთრებით, დედები ჩაფიქრებიან ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობას. თორემ ისინი უფრო ლმობიერნი იქნებიან პატარების მიმართ, პატარებისა, რომელთა ჩვეულებრივი დღე ასე იწყება:

ლოგინიდან ჯერ არ წამომდგარა ბიჭუნა, ძნელია ძილს თავი წაართვა, მით უმეტეს, როცა წინადღით საოცრად დაიღალე...

ახლა ბებია ფაციფუცით ალაგებს პატარა პარკში ნამცხვარს, ხორცის ნაჭრებს. მერე ბიჭუნას ადგომაში შველის, აცვამს, ღილს უკრავს, პირს ბანს. თან განუწყვეტლივ ესაუბრება რუსულად—ბავშვმა აქედანვე უნდა შეითვისოს სწორი გამოთქმა, ქართული აქცენტი არ დაჰყვეს. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ეს ინგლისური რაღაა? საამისოდ ბიჭუნა ძალიან პატარაა. და მაინც იგი აიძულეს შუადღემდე იჯდეს ერთ ოთახში რამდენიმე ტოლ ბავშვთან ერთად. კატას თურმე ინგლისურად ჰქვია: „კეტ", პურს—„ბრედ". როდესაც მეგობარს ხვდება, ისე, უბრალოდ კი არ უნდა ჩამოართვა ხელი, არამედ უნდა უთხრა „ჰაუ დუ იუ დუ". როდესაც რაიმეს მოითხოვ, ზრდილობიანმა ბავშვმა აუცილებლად უნდა დაუმატოს—„პლიის" (გეთაყვა). და ასე შემდეგ. და ასე ყოველდღე შუადღისას, უცხო ენის ლექსიკის კიდევ ერთი მარაგით დატვირთული ბიჭუნა სახლში ბრუნდება და მას თავში ქართულ-რუსულ-ინგლისურ სიტყვათა კორიანტელი უტრიალებს. ღმერთო, გუშინ დედამ გაიგო, რომ ასეთივე გერმანული საბავშვო ბაღიც არსებობს. ხომ შეიძლება იქაც მიიყვანონ? მაგრამ ჯერჯერობით ამის დრო აღარ არის: ბიჭუნა ისადილებს და შემდეგ დედა თავად წაიყვანს ცეკვის გაკვეთილზე.

ცეკვა დიდებული რამ არის. ახალისებს ბავშვს. გახსოვთ „მაგდანას ლურჯაში" სტვირისა და დოლის აკომპანიმენტით რა მშვენივრად ცეკვავენ ბანზე პატარები? გახსოვთ, რამდენჯერ აგირახუნებიათ ტაში და ისე ჩამოგივლიათ „ქართული"?. გელიმებათ? მაგრამ ეს იყო ნამდვილი ბავშვური ლხინი. ახლა? ახლა ვუნდერკინდის მშობელს სურს, რომ მისი პატარა ახლავე შეემზადოს ფართო ასპარეზისათვის —დიდი სცენისათვის. ჰოდა, მიჰყავს ბიჭუნა ცეკვის წრეში. ეს წრეები, რამდენიც გნებავთ, იმდენი არსებობს. მაგრამ მსურველ მშობელთა (ხედავთ?— მშობელთა) რაოდენობა იმდენად დიდია, რომ წრეში მოსახვედრად დიდი კონკურსია გამართული. აი, აქ ტრიალდება ნაცნობ-ნათესავთა წრე, იწყება ტელეფონების რეკვა, პროტექცია... და ბოლოს, სახეგაღიმებულ მშობელს მიჰყავს ერთი ბეწო არსება ცეკვის პირველ მეცადინეობაზე. პაწაწინას თვალი რჩება გაფრენილ ჩიტზე, ეზო-ბაღებში ჟი-

ვილ-ხივილით გამოფენილ ტოლებზე, მაგრამ პაწაწინას ნუ დაავიწყდება, რომ ის რჩეული ბავშვია. დიახ, დიახ, რჩეული! მომავალი მოცეკვავე ცნობილი ანსამბლისა, ანსამბლისა, რომელმაც მსოფლიოთ უნდა შემოიაროს, სახელი გაუთქვას ეროვნულ ცეკვებს. ეს არაა პატარა ამბავი. ჰოდა, ამიტომ ტრიალებს ჩვენი რჩეული ბიჭუნა წრეში, ეცემა მუხლებზე, აკეთებს წარმოუდგენელ, ბავშვისათვის შეუფერებელ ილეთებს, დასრიალებს თავბრუდამხვევად, იცემს გულზე ხელს, ჰგდებს ფაფახს ძირს, ერკინება პარტნიორს და გაჰკივის. და ჩვენ შემდეგ, რომელიმე საკონცერტო განუოფილებაზე ვსხედვართ დამშვიდებულნი და კმაყოფილებით ვიღიმებით: „ხედავთ, რა ნიჭიერი ნორჩი თაობა გვყავს? ერთი მითხარით, რითი ჩამოუვარდებიან ისინი პროფესიონალ მოცეკვავეებს?“ ჰოდა, ვხარობთ, ვულოცავთ მშობლებს და ამ დროს არავის გვახსოვს, რა დღეშია მათი პატარა მუხლები, გული, ფილტვები...

მე გეკითხებით: რატომ ვიღიმებით? რატომ არ აღვდგებით ასეთი მშობლების, ასეთი პედაგოგების წინააღმდეგ? ჩვენ განა იმის წინააღმდეგი ვართ, რომ ჩვენმა ბავშვებმა იცეკვონ? პირიქით. მაგრამ, სადაა საბავშვო საცეკვაო რეპერტუარი, სადაც თამაშობანი ბუნებრივად შეერწყმება ცეკვებს? სად არიან ამ საქმის სპეციალისტები, რომ თუნდაც „ნიშხა-ნიშხა“, „კატა-თაგვობანა“ და მრავალი სხვა თამაშობა ცეკვად გარდაქმნან? ეს იქნება, თუ გნებავთ სპორტიც, სასიამოვნო, აუცილებელი ბავშვის ორგანიზმისათვის. განა უფრო არ გავიხარებთ, როდესაც სცენაზე ვიხილავთ ბავშვების ნამდვილ ბავშურს გამოსვლას, როდესაც მათ აღარ შებორკავენ ღილკილოიანი ჩოხა-ახალოხითა და ქამარ-ხანჯლით, ნაბდებით, ჩაქურებით... ამ სამოსში გამოწყობილი ბავშვები ხომ ნამდვილ ჯუჯებს ჰგვანან! მაგრამ ვუნდერკინდი ვუნდერკინდია. და ვერავინ გაამტყუნებს მშობელს, რომელიც თავიდანვე ცდილობს შვილს გამოუძებნოს კარგი სპეციალობა (ხელოვნების სიყვარული, რასაკვირველია, აქ გამორიცხულია).

თავდება მომქანცველი დღე. მოსაცდელ დარბაზში ჩამომსხდარან ბავშვების ტანსაცმლით დატვირთული დედები. ისინი მოთმინებით ელოდებიან პატარებს და გაოფლილი, მოღლილი პატარებიც უბრუნდებიან მშობლებს. გზაზე მათ ლაპარაკის თავიც არ აქვთ. დაიკარგა კიდევ ერთი დღე სანუკვარი ბავშვობისა, დაიკარგა ნათელი, ბავშვური დღე, რომელზეც უფლება აქვს ყველას, გარდა ვუნდერკინდისა. მას დარჩა კიდევ ერთი დიდი საქმე — მუსიკის გაკვეთილი. მშობელმა მოისურვა, რომ ახლავე გააღვიძოს პაწაწინას გულში სიყვარული მუსიკალური სამყაროსადმი. არა, სრულიად არ არის ადრე: განა რამდენი წლის იყო მოცარტი, ბეთჰოვენი, შოპენი, პაგანინი, როდესაც ისინი პირველ კონცერტებს მართავდნენ?

ეჰ, დედებო, დედებო! ისინი გენიოსები იყვნენ, გენიოსები კი არც ისე ხშირად იბადებიან. იცით? ერთი თქვენგანი ამ გენიოსების ჯიბრზე თითებზე ეკონწიალება თავის პატარა გოგონას, ცდილობს დაუგრძელოს თითები, ჩქმეტა-ჩქმეტით მიჰყავს ინსტრუმენტთან და აიძულებს საათობით უკრას. რა ბქვია ამას, თუ არა ბავშვობის მოწამვლა?

ღამდება. ბიჭუნას ლოგინში აწვენენ. იგი გემრიელად ამთქნარებს და მაშინვე იძინებს. იძინე, პატარავ, ხვალ შრომითა და ზრუნვით სავსე დღე გელის. შენზე დიდ იმედს ამყარებენ. შენ არა ხარ ჩვეულებრივი ბავშვი. შენ ვუნდერკინდი ხარ. ამიტომ უფროსებმა ჩვეულებრივი ბავშვობა წაგართვეს. და, რაც მთავარია, არავინ ცდილობს ხმა აიმაღლოს ამ ბოროტების წინააღმდეგ.

ლაპარაკით კი ბევრს ვლაპარაკობთ, ვმსჯელობთ. მაგრამ პრესას არ ჩამოუყალიბებია ერთი საზოგადოებრივი აზრი, ოფიციალურად არ გამოსულან პედაგოგები, ავტორიტეტული ადამიანები, არ განუცხადებიათ, რომ ბუნებაში არ არსებობენ არაჩვეულებრივი, არაბუნებრივი ნიჭის მქონე ბავშვები. არიან ჩვეულებრივი, ჯანმრთელი, ნიჭიერი შვილები და პატივმოყვარე მშობლები. პატივმოყვარული მიზნებით ამოძრავებული ეს მშობლები „კარგ აღზრდას“ არქმევენ ზემოდ დახატულ სურათს.

ბავშვებო, იქნებ ისევ თქვენ უშველოთ საქმეს: შეიკრიბეთ ერთად და მთელი ხმით უკიჟინეთ თქვენს მშობლებს, უფროსებს, ცეკვის, მუსიკის თუ უცხო ენის მასწავლებლებს: — ჩვენ ვუნდერკინდები არა ვართ!

# ადამიანი იწყებს ცხოვრებას

თქვენმა ბავშვმა, რომელიც ეს ესაა გაჩნდა ქვეყანაზე, გგონიათ არაფერი იცის და არაფრის გაკეთება არ შეუძლია? არა, იგი ამქვეყნად „ცარიელი ხელებით“ არ მოსულა.

აბა, მიანათეთ ბავშვს ძლიერი შუქი, უმალვე თვალებს მოხუჭავს. ადრე მას არ განუცდია სინათლის ზეგავლენა, მიუხედავად ამისა, მან უკვე „იცის“, რომ თვალებს გაფრთხილება უნდა. შემოჰკარით მაგრად ტაში — ბავშვი შეხტება და ხელებს ფართოდ გაშლის, ეცდება ჩაგეჭიდოთ.

ბავშვს შეუძლია საკვების „მოპოვება“ და მონელება, შეუძლია „აცნობოს“ დედას, რომ მას შია, სცივა, ტკივა, მართალია, მეტად ქაოტურად, მაგრამ შეუძლია ხელები და ფეხები ამოძრაოს. ეს მოძრაობა აუცილებელია ჩვილისათვის: იგი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ავარჯიშებს გულსა და ფილტვებს, ასწავლის ბავშვს თავისი სხეულის დამორჩილებას.

მიუხედავად ასეთი ცოდნისა, ბავშვი მაინც სრულიად უმწეო იბადება, მისი ჯანმრთელობა და განვითარება მთლიანად დამოკიდებულია უფროსებზე.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უფროსების ზრუნვა განისაზღვრება მხოლოდ ბავშვის ჰიგიენური პირობების დაცვითა და კვებით?

მშობლების ვალია იზრუნონ თავისი პირმშოს აღზრდაზე მისი გაჩენის პირველივე დღიდან.

რითი უნდა დაიწყოთ ბავშვის აღზრდა მისი ცხოვრების ყველაზე ადრეულ პერიოდში? რასაკვირველია სიყვარულით, მაგრამ იმ ბრმა და თავშეუკავებელი სიყვარულით კი არა, რომელიც გონებას უბინდავს კაცს. ზოგიერთი დედა ანგარიშს არ უწევს ექიმებისა და პედაგოგების რჩევა-დარიგებებს. ჯანმრთელი ბავშვის მიმართ სისტემატურად შიშსა და ზედმეტ სიბრალულს იჩენს. თავის მკლავებს აქცევს დღე და ღამ მოძრავ აკვნად, საკვებს კი დასამშვიდებელ საშუალებად. რამდენიმე თვის შემდეგ განაწამები დედა უყურებს თავის პატარას, როგორც უმადურ დესპოტს, რომელმაც ასე აუწეწა ცხოვრება. იგი ხომ ჯერ კიდევ სამშობიარო სახლში გააფრთხილეს ექიმებმა სამი თვის განმავლობაში მტკიცედ დაეცვა ბავშვის კვებისა და ძილის ისეთი რეჟიმი, როგორიც სამშობიარო სახლში ქონდა. რეჟიმი მარტო ბავშვის ჯანმრთელობისათვის კი არაა აუცილებელი, მას აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს: წესრიგში მოჰყავს მთელი ნერვული სისტემა.

ცხოვრების პირველ კვირეებში ბავშვს მეტწილად სძინავს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მას სრულებით აღარ რჩება დრო გაეცნოს გარემოს, რომელშიც ასე ბევრია შეუცნობელი, გასართობი და მნიშვნელოვანი; ძილისაგან თავისუფალ დროს, ასეთი კი ყოველი კვირის შემდეგ მატულობს, უნდა ვასწავლოთ ბავშვს დაინახოს, მოისმინოს, ხელის შეხება იგრძნოს. ცხადია, შემდეგში იგი თანდათანობით დაეუფლება შეგრძნების ყველა ორგანოს, მაგრამ მშობლების დახმარებით განვითარება უფრო სწრაფად წავა.

განვიხილოთ მაგალითები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბავშვი ძლიერ შუქზე თვალებს მაგრად ხუჭავს, ამგვარად შუქის ძალის შეგრძნობის უნარი მას დაბადებიდანვე თან დაჰყვა. მაგრამ საგნების დანახვა, მათი ფერების და ფორმის გარჩევა და მანძილის მიხვედრა ბავშვს უნდა ასწავლოთ. ეს არც თუ ისე ადვილი საქმეა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მას პირველ ხანებში არ შესწევს უნარი შეაჩეროს მზერა უძრავ საგნებზე, ხოლო საგნები, რომელთაც არა აქვთ მკვეთრი ფერები, არავითარ მხე-

დველობით რეაქციას არ ახდენს ბავშვზე. ამრიგად, უნდა შევარჩიოთ სათამაშოები, მაგრამ უბრალოდ კი არ ჩამოვკიდოთ საწოლზე, არამედ შევუნაცვლოთ ხოლმე ისინი ბავშვს მხედველობის არეში, სახიდან 50-70 სანტიმეტრის დაშორებით.

ამის შემდეგ მეათე დღეზე ბავშვი უკვე შესძლებს რამდენიმე ხანს თვალი ადევნოს ნელა მოძრავ საგანს. მეორე კვირის ბოლოს შეიძლება პერიოდულად შევაჩეროთ მოძრავი საგანი, რომ ბავშვმა ისწავლოს ამ საგანზე მხედველობის შეჩერება. ამავე დროს მნიშვნელოვანია ვასწავლოთ ბავშვს ორივე თვალით დანახვა. ამისათვის საჭიროა სათამაშო ვამოძრაოთ არა მარტო ჰორიზონტალური მიმართულებით, არამედ ვერტიკალურადაც, ამასთან, ხან მივუახლოვოთ იგი მხედველობის არეს, ხან დავაშოროთ. თუ ბავშვთან ასეთ სპეციალურ ვარჯიშს არ ჩავატარებთ, იგი შეუცვლელი პოზით მიაშტერდება ფანჯარას ან ნათურას. ამას კი შეუძლია გამოიწვიოს თავის ქალის დეფორმირება და განუვითაროს ბავშვს ინერტიულობა. ასაკის მომატებასთან დაკავშირებით ინერტიულობა შეიძლება ხასიათის თვისებაში გადაიზარდოს და ბევრად განსაზღვროს ბავშვის შემდგომი განვითარება.

სმენის განვითარებისათვის საჭიროა ისეთი ხმაურიანი საგნის გამოყენება, როგორიცაა ჩხარუნა. ბავშვი ყურს დაუგდებს ხმებს და ამავე დროს თვალს გააყოლებს ჩხარუნას. ამგვარად, ურთიერთობაშია მხედველობა და სმენა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბავშვი ისწავლის თავის მობრუნებას, რათა დაინახოს რა ხმაურობს იქ? ძალიან სასარგებლოა ბავშვთან ხშირი საუბარიც. ეს ანვითარებს მასში ხმების შეცნობის უნარს, რის შედეგადაც იგი სწრაფად სწავლობს ლაპარაკს.

ბავშვის ფსიქიური განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უფროსებთან, უპირველეს ყოვლისა, კი დედასთან ურთიერთობას. დედაშვილს შორის არსებული ბუნებრივი კავშირის შედეგად, მათ შორის ადვილად მყარდება მტკიცე ურთიერთობა. ყველაზე პირველად ბავშვი სწორედ დედას ცნობს. სულ ცოტა ხნის წინათ კი იგი დედის ხმასა და სახეს ვერაფრით ვერ არჩევდა „უცხო დეიდის“ სახესა და ხმისაგან, მაგრამ აი ორი, ოთხი თვის შემდეგ ჩვილი მხიარული გამოცოცხლებით ეგებება დედას, მის ხმას. ამგვარად, ამ ასაკში ბავშვს უვითარდება, მართალია ძალზე ელემენტალური, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი უნარი შედარებისა, არჩევს რა დედას, ამით იგი გვიმტკიცებს, რომ „ესმის“ ვინაა მასთან უშულო კავშირში, ვინ უვლის მას სისტემატურად. ეს არის ბავშვის პირველი, ერთერთი პატარა „აღმოჩენა“, მისი აზროვნების გამოღვიძების პირველი გამოვლინება. მაგრამ კიდევ უფრო ადრე, ვიდრე დაიწყებდეს დედის გამოცნობას, ბავშვი დიდ ინტერესს ავლენს ადამიანებთან ურთიერთობისადმი. უფროსების ლაპარაკი, სახის გამომეტყველების ცვალებადობა ერთი თვის ბავშვს სიხარულით ალავსებს, იგი მხიარულად ათამაშებს ხელებსა და ფეხებს, სახე ებადრება, ხანგრძლივად შეჰყურებს ადამიანს. ყოველივე ეს პირველი გამოვლინებაა დადებითი ემოციის, ადამიანებთან ურთიერთობით გამოწვეული აშკარა სიხარულის. აქამდე ხომ ჩვილი მხოლოდ უარყოფით ემოციას ავლენდა: ტიროდა, როცა შიოდა, წუნარდებოდა ჭამის შემდეგ და არავითარ განსაკუთრებულ სიხარულს არ გამოხატავდა ამასთან დაკავშირებით.

ხუთი-ექვსი თვის ასაკში ბავშვის ემოციურობა მრავალფეროვანი ხდება და სხვადასხვაგვარ ინდივიდუალურ ელფერს იძენს.

ბავშვის ამ ფსიქოლოგიური თავისებურებისადმი გულგრილი დამოკიდებულება დაუშვებელია. ყოველგვარი ხელსაყრელი სიტუაცია უნდა გამოვიყენოთ ბავშვში დადებითი ემოციის გამოსაწვევად და მხიარული განწყობილების შესანარჩუნებლად.

გამუდმებული ინტერესი, რომელიც ბავშვს უფროსებთან ურთიერთობით, სათამაშოებით გართობის დროს უჩნდება უმოქმედობის პირველი მტერია. უმოქმედობა ადამიანის ბუნების საწინააღმდეგოა, მაგრამ იგი შეიძლება წარმოიშვას არასწორი აღზრდის დროს. ხანდახან ვხედავთ 7-8 თვის ისეთ ბავშვს, რომელიც გამუდმებით ზის თავის საწოლში ბალიშებით შემორაგული და ასეთ „მჯდომარე“ ცხოვრებას მიჩვეული თანდათან ქონსა და სიზარმაცეში ეფლობა. რამდენიმე თვის შემდეგ კი მან პირველი დამოუკიდებელი „მოგზაურობა“ უნდა მოაწყოს ოთახში, შეიხედოს ყოველ კუნჭულში, ავიდეს დივანზე, გამოიჩინოს ამ დროს სიბეჯითე, მოქნილობა და ცოტაოდენი გულადობაც კი. იმ ბავშვს კი, რომელსაც ბუმბულით გატენილი ბალიშის მეტი არა უნახავს რა, გაუჭირდება მაგიდისა და სკამის მაგარ კუთხეებთან შეთვისება. უმცირეს დამარცხებას შეუძლია მასში შიშის გრძნობა გამოიწვიოს, კარგახნით დაუკარგოს მოძრაობის ინიციატივა და სურვილი.

ამრიგად, ცხოვრების პირველმა თვეებმა ბავშვის გონება ალავსეს დიდი ცოდნით, გაართულეს მისი გრძნობების სამყარო, მოამზადეს იგი მრავალმხრივი მოქმედებისათვის, რომელიც მისთვის მისაწვდომი გახდება, როგორც კი დაეუფლება სივრცესა და მეტყველებას. მაგრამ ამ პერიოდზე შემდგომში ვილაპარაკოთ.

**ა. ფონარევი.**

**ჟურნალი „რაბოტნიცა“.**

# ნაადრევი ჭაღარა

საერთოდ თმა 40-45 წლის ასაკში უჭაღარავდება ადამიანს, რაც ნორმალური მოვლენაა, მაგრამ არის ნაადრევი ჭაღარაც.

თმის საღებავი ნივთიერების (პიგმენტის) დაკარგვის მიზეზი ისევე უცნობია, როგორც მისი აღდგენის გზა. ნაადრევი გაჭაღარავების თავიდან აცილება შესაძლებელია. ვარჯიში და სპორტი, დღის რეჟიმი, ვიტამინებით მდიდარი საკვები (განსაკუთრებით B ჯგუფის ვიტამინები) მოგეხმარებათ ამაში. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ნერვული სისტემის მოფრთხილება; ნერვული სისტემის დაავადებას თან სდევს ნაადრევი ჭაღარა.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ უკვე გაგვიჩნდა იგი? უპირველეს ყოვლისა, არ ვიჩქაროთ თმის შეღებვა. ყოველთვის როდი აძლევს ქალს ჭაღარა ხნიერ შესახედაობას, ზოგს უხდება კიდეც. ხოლო, თუ დაბანის შემდეგ ლილიან წყალს გადაივლებთ, თმა ლამაზ, მოცისფრო ელფერს მიიღებს. ბევრ ქალს მაინც სურს ჭაღარის დაფარვა. მაშინ ყველაზე კარგია თმა ბუნებრივ, თავისავე ფერად შეიღებოს.

შინაურ საშუალებათაგან შეიძლება გირჩიოთ სრულიად უვნებელი მცენარეული საღებავები: ინი, ბასმა, აფთიაქის გვირილა და კაკლის წენგო.

თუ ინსა და ბასმას სხვადასხვაგვარი შეფარდებით ავიღებთ, შეგვიძლია თმას მრავალგვარი ელფერი მივალებინოთ. მაგალითად, ერთი წილი ინი და ორი წილი ბასმა თმაზე 30 წუთის გაჩერების შემდეგ ნათელ შეფერილობას იძლევა, ხოლო თუ საათნახევარს დავაყოვნებთ, თმა წაბლისფერი გახდება.

ერთი წილი ინისა და სამი წილი ბასმისაგან დამზადებული საღებავი, დაახლოებით 4 საათით გაჩერების შემდეგ თმას შავად ღებავს.

შეღებვის პროცესი მარტივია. ინისა და ბასმის ნაერთი ცხელ წყალში გაძარით, ვიდრე თხელ ფაფისმაგვარ ნივთიერებას არ მიიღებთ. ჩხირზე შემოხვეული ბამბით ეს ფაფა სუფთა თმაზე წაისვით (თხემიდან მოყევით), მერე თავზე კომპრესის ქაღალდი შემოიდეთ და ძველი თბილი თავშლით ან პირსახოცით შეიხვიეთ. შეღებვის შემდეგ თმა კარგად უნდა დაიბანოთ და გაიშროთ.

თმას ლამაზ წაბლისფერს აძლევს კაკლის წენგოს ნაყენი. ეს საღებავი მდგრადი არ არის, ამიტომ მაშინვე უნდა იხმაროთ. ნაყენის დასამზადებლად აიღეთ ასი გრამი კაკლის წენგო (შეიძლება მთელი კაკალიც იხმაროთ), წვრილად დაკეპეთ, დაასხით წყალი და ნელ ცეცხლზე ორთქლში მოხარშეთ, როცა მისი რაოდენობა ერთ მეოთხედამდე შემცირდება, გადმოდგით, შემდეგ გაწურეთ, ნაყენით თმა დაისველეთ და 30-40 წუთს გააჩერეთ.

ჭაღარას ლიაფერად კარგად ღებავს გამხმარი გვირილის ნაყენი. ერთ წილ გვირილას დაასხით სამი წილი მდუღარე წყალი,

ჰურჭელს თავზე მჭიდროდ დაახურეთ და 2-3 საათს გააჩერეთ. გაწურული ნაყენი დაბანის შემდეგ თმაზე გადაივლეთ. ფერი უფრო ინტენსიური იქნება, თუ თმას 40-60 წუთის განმავლობაში შევიხვევთ და მერე გავიშრობთ.

ჩვენი კოსმეტიკური საწარმოები უშვებენ საღებავ „გამას“, რომელიც ღიადან დაწყებული შავამდე ყველა ფერს იძლევა. მაგრამ, სანამ ამ საღებავს იხმარდეთ, შეამოწმეთ, კანს ხომ არ გიღიზიანებთ (ყურის ძირები დაისველეთ). კატეგორიულად უარყოფილია ურზოლის ხმარება. ურზოლმა შეიძლება კანის ძლიერი ანთება გამოიწვიოს.

ზოგიერთი აღმდგენელს (ვოსტონოვიტელს) ხმარობს. ამ დროსაც სიფრთხილეა საჭირო. მხედველობაში მიიღეთ ის, რომ აღმდგენელს ყველა ვერ იტანს კარგად. ამ საღებავის ხმარება სრულებით არ შეიძლება ორსული და მეძუძური ქალებისათვის. აქვე უნდა მოგაგონოთ, აღმდგენელით შეღებვის შემდეგ ინისა და ბასმის ხმარება არ შეიძლება.

საერთოდ ყოველგვარი ქიმიური საღებავი იხმარეთ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში.

**ექიმი-კოსმეტოლოგი დ. რადომსკაია,**
ჟურნალი „რაბოტნიცა“.

გაფართოებულ სისხლძარღვებს აღარ ძალუძთ შევიწროება. ცხვირის, ლოყებისა და ნიკაპის არე წითლდება. ხშირი სისხლმოწოლისას აუცილებელია მიმართოთ ექიმს. კალციუმისა და დარიშხანის პრეპარატები, ვიტამინები, სპორტი — ეს ყველაფერი აჯანსაღებს ნერვულ სისტემას და დიდი სარგებლობა მოაქვს.

დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ კვებასაც. საკვები უნდა იყოს თბილი, მაგრამ არა ცხელი. გამაღიზიანებელი სანელებლები — მდოგვი, პირშუშხა და წიწაკა უმჯობესია სულაც ამოიღოთ ხმარებიდან. ყურადღება მიაქციეთ კუჭ ნაწლავის რეგულარულ მოქმედებას.

სახის სიწითლის შემთხვევაში პირი უნდა დაიბანოთ ხან თბილი, ხან ცივი წყლით. კარგია კანის გაწმენდა, ასეთი შემადგენლობის ხსნარით: სპირტი და ეთერი — 20-20 გრ. ბორის მჟავის ორპროცენტიანი ხსნარი — 60 გრ. ან ძმარი — 30 გრ. ან ასეთი: არაყი — 20 გრ და ბორის მჟავის ორპროცენტიანი ხსნარი — 50 გრ.

ექიმთან მოთათბირების შემდეგ შეგიძლიათ მიიღოთ ასკორბინის ან ნიკოტინის მჟავა (შინაგანად). ქუჩაში გამოსვლის წინ სახის კანი დაიფარეთ კრემის თხელი ფენით

ძალიან გაჭუჭყიანებული ხელები ქარვის ზეთში დასველებული ბამბით უნდა გავიწმინდოთ, მერე კი გულდაგულ დავიბანოთ ცხელი საპნიანი წყლით, რომელშიც რამდენიმე წვეთი ნიშადური იქნება გარეული განსაკუთრებით ჭუჭყიანი ადგილები გავიხეხოთ პემზით ან ლიმონის მჟავით. დაბანილი ხელები კარგად უნდა შევიმშრალოთ.

ხელებს მშვენივრად არბილებს ყოველგვარი ცხიმიანი კრემი: „მკვებავი“, „ლანოლინის“, „ატლასის“. თუ ხელის კანი დახეთქილი გაქვთ, ძალიან მოგიხდებათ შემთბარი მზესუმზირის, ატმის, ან ზეითუნის ზეთის აბაზანები. ასევე კარგია ამ ზეთების კომპრესები.

ამ აბაზანებისა და კომპრესების გარდა შეიძლება გამოიყენოთ ზოგიერთი ბალახეულის ცხელი ნაყენის აბაზანებიც, ასე, მაგალითად, გვირილის, სალბის (შალფეის) და ცაცხვის ყვავილის.

ამ აბაზანის მიღების შემდეგ კანში უნდა შევიზილოთ ცხიმიანი კრემი.

ხშირად იმათ, ვინც ხელებს ცუდად უვლის, ხელზე უჩნდებათ დუდკო. დუდკო ფრთხილად უნდა მოვიჭრათ, წავისვათ იოდი ან ბრილიანტინი. თუ დუდკო ღრმაა, მაშინ ზევიდან უნდა დავაფაროთ სინტომიცინის ემულსიაში დასველებული საფენი, პენიცილინის ან სტრეპტოციდის მალამო.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ფრჩხილების მდგომარეობას. ფრჩხილის ოდნავ შეცვლის შემჩნევისთანავე უნდა მივმართოთ ექიმს, რომ არ გამოგვეპაროს სოკოვანი დაავადება.

• • •

ოფლის უსიამოვნო სუნის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სისტემატურად ამოვიპარსოთ იღლიები და ყოველდღიურად დავიბანოთ ცხელი წყლით და საპნით, ან გავიწმინდოთ ტუალეტის ძმრით, ოდეკალონით და ლოსიონით — „ფინიში“. კარგად მოქმედებს თალკი და უროტროპინი, თალკი და ხუთპროცენტიანი ბორის სიმჟავე. ჰოდა, რა თქმა უნდა, ყოველდღიური ჰიგიენური შხაპი.

# ყურადღება მიაქციეთ თქვენს გარეგნობას

ზოგჯერ ქალიშვილები ჩივიან — ადვილად ვწითლდებითო. ეს ფაქტი ყოველთვის არ აიხსნება მორცხვობითა და მოკრძალებით. ამის მიზეზი ხშირად სხვაა — სისხლძარღვების ნევროზი და მათი მიდრეკილება სწრაფი გაფართოებისაკენ. თუ ნევროზს ამავე დროს თან ერთვის კუჭისა და ენდოკრინული ჯირკვლების დაავადება ან მზეზე, ცივ და ცხელ საამქროებში ხანგრძლივად ყოფნა, მაშინ ეს სიწითლე, სისხლის მოწოლით გამოწვეული, უფრო მყარი ხდება.

ხელები ხშირად ჭუჭყიანდება. ჭუჭყიანმა ხელებმა კი შეიძლება გამოიწვიოს მძიმე დაავადება, ჭიები, კანის ჩირქოვანი წყლულები. ჭუჭყი რჩება კანის ნაკეცებში, შედის ფორებში. კანი შრება, უხეშდება, ზოგჯერ მასზე ჩნდება მტკივნეული ნახეთქები. ყველა ეს უსიამოვნება რომ თავიდან ავიცილოთ, მუშაობის წინ კანში უნდა შევიზილოთ ვაზელინი ან რომელიმე ცხიმიანი კრემი, ფრჩხილები კი დავიფაროთ საპნით, რომ მერე უფრო ადვილად დავიბანოთ.

გარეკანის პირველ გვერდზე — „მშვიდობისსადღეგრძელო“. მხატვარი ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ბ ა ლ დ ა ვ ა ძ ე.
გარეკანის მეოთხე გვერდზე —ფერადი ფოტო ნ ო რ ა ა ნ თ ი ძ ი ს.

რედაქტორი
თეო აბაშიძე

სარედ. კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჯავახიშვილი.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ტექრედაქტორი ქ. დ ე მ უ რ ო ვ ა.
რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,8.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/XII-64 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 60.000 შეკვ. 3187. უე 12844 ფასი 80 კაპ.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამაშობს უ. კურე.



როცა ნანა ალექსანდრია აგებდა ანდრეევასთან, განიცდიდნენ ტურნირის მონაწილენი.



პარტიები დამთავრდა. რაისა ვაპნიჩნაია კი მაინც ვერ ტოვებს დარბაზს.

ლენა რუბცოვას პირველი დამარცხება ალა ჩაიკოვსკაიასთან





დაიძაბა კ. ზვორიკინასა და ა. ერგლეს პარტია. ზვორიკინა ცაიტნოტშია, იგებს ერგლე.



ირინა გასპარიანცი.



პარტიას არჩევენ ზარა ნახიმოვსკაია და მისი მწვრთნელი მიხეილ ტალი



მიმდინარეობს ერთერთი ტური

კ. ზვორიკინას და ბიშარდის პარტიის განხილვამ სხვებიც დააინტერესა.



Ь 42/37

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76177

